პრეზიდენტი საქართველოს წამებისგან თავისუფალ ზონად აცხადებს A4

განცხადებები A6

დინამო ლიდერობა დაიბრუნა A7

www.24hours.ge

24 სათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

კვირა, 18 მაისი, 2003 წელი. №134 (346)

ფასი 50 თეთრი

„აირზენას" მესამე „ბოინგი" და სიურპრიზი - მაკა ასათიანს

გვანცა კვინიკაძე

საქართველოს ავიაბაზარზე, თითქმის სრულ მარტოობაში დარჩენილმა ავიაკომპანია "აირზენამ" გუშინ თბილისის აეროპორტში თავის პარკს ახლახან შემატებული მესამე "ბოინგის" არაოფიციალური პრეზენტაცია მოაწყო. "აირზენას" სიმბოლიკით ლონდონში დამშვენებული თვითმფრინავის ლონდონიდანვე ჩამოფრენას აეროპორტში კომპანიის ხელმძღვანელობა, მათ შორის, კომპანიის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი მაკა ასათიანი და მისი შვილებიც ელოდნენ. თუმცა, აეროპორტში დაშვებისას აღმოჩნდა, რომ კომპანიის სიმბოლიკის გარდა, თვითმფრინავს წარწერა "Kakhi Asatiani"-ც ამშვენებს.

პირველი ორის მსგავსად, "აირზენამ" ეს "ბოინგ-737-იც" ლიზინგით აიღო. "აირზენას" პრეზიდენტმა თამაზ გაიაშვილმა, რომელიც ახალ თვითმფრინავს ლონდონიდან ჩამოჰყვა, ლიზინგის პირობების შესახებ მეტად მწირი ინფორმაცია გასცა. ერთადერთი, რაც მან ჟურნალისტებს გაუმხილა, ის იყო, რომ ლიზინგი სამწლიანია და ამერიკულ გიგანტ "ბოინგსა" და ქართულ კომპანიას შორის შუამავლის ფუნქცია, ასევე ამერიკულმა კომპანიამ "სი-აი-თიმ" შეასრულა. გარიგების ფინანსური დეტალები უცნობი დარჩა.

"აირზენას" სამომავლო გეგმებზე, შედარებით ვრცლად მაკა ასათიანმა ისაუბრა. მისი თქმით, ახალი თვითმფრინავი კომპანიას საშუალებას მისცემს ახალი მიმართულებებით დაიწყოს რეისების შესრულება. კერძოდ, უახლოეს მომავალში, "აირზენა" ამსტერდამის, მილანისა და

გაგრძელება A2 გვერდზე

"Kakhi Asatiani" თბილისის აეროპორტში.

შევარდნაძემ ჯორბენაძე აბაშიძესთან "აფრინა"

თამარ ხორბალაძე

სახელმწიფო მინისტრი, "მოქალაქეთა კავშირის" თავმჯდომარე და სახელისუფლებო ბლოკის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი ავთანდილ ჯორბენაძე, შაბათს, მას შემდეგ, რაც სახელმწიფო კანცელარიაში პრეზიდენტთან შეკრებილმა მთავრობის წევრებმა საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე იმსჯელეს და დაადგინეს, რომ ქართული ეკონომიკის და საქართველოს ბიუჯეტის საქმე, მეტი რომ არ ვთქვათ, ძლიერ ცუდადაა, ბათუმს გაემგზავრა.

ცხადია, ვიზიტის ოფიციალური მიზანი სწორედ საბიუჯეტო თემატიკას უკავშირდება. სსფ-ს სხვადასხვა რეკომენდაციათა შორის შესასრულებელია აჭარასთან საბიუჯეტო ურთიერთობის დარეგულირების საკითხი, რომელიც დღეისათვის პრობლემატურია, რადგან რეგიონის ხელმძღვანელობა კვლავ უარს აცხადებს ცენტრალური ბიუჯეტისათვის კუთვნილი თანხების გადარიცხვაზე, რაც მიმდინარე წელს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, მთლიანობაში 25 მილიონი ლარით განისაზღვრება.

ანუ იმ შემთხვევაში, თუ აჭარიდან თანხები არ გადმოირიცხა, სსფ-ს რეკომენდაციით, ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი, მინიმუმ, 25 მილიონი ლარით უნდა შემცირდეს.

ავთანდილ ჯორბენაძეს ბათუმში მოადგილე გიორგი ისაკაძე და ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი ამირან გამყრელიძე ახლდნენ. დელეგაციის შემადგენლობა ნათელყოფს, რომ საუბარი, ძირითადად, მართლაც, საბიუჯეტო თემატიკას ეხებოდა.

გაგრძელება A2 გვერდზე

— საზოგადოება —

დევნილ ექიმებს შეუძლიათ მშვიდად იყონ

დევნილი ექიმების საშუალო ხელფასი 30 ლარია, თუმცა, ყოველთვის მასაც ვერ იღებენ. მაგალითად, 1997-2000 წლებში ნაშრომი დღემდე აუნაზღაურებელი აქვთ. ამას ემატება სადაზღვევო კომპანიის ორწლიანი დავალიანებაც.

A3

— სამართალი —

ბიზნესმენი პროკურატურას ჩვენებას არ აძლევს

გუშინწინ, საღამოს ექვსი საათისთვის ქუთაისში, საღორიის ტყის მიმდებარე ტერიტორიიდან, საეჭვო ვითარებაში გაუჩინარდა ახალგაზრდა ბიზნესმენი გიგა ჩხეიძე.

A4

— ამინდი —

თბილისი	24	
ქუთაისი	26	
ბათუმი	22	
სოხუმი	23	
ფოთი	23	
თელავი	23	
ზუგდიდი	26	
გორი	22	
ახმეტა	23	

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1550
ევრო	2.4569
გირვანქა სტერლინგი	3.4909
რუბლი	0.0698

კონფლიქტის გადაჭრა მესამე მხარის ჩაურევლად ოსებს შეუძლებლად მიაჩნიათ

ვასილ გულეური
გორიდან

ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების შერეული საკონტროლო კომისიის სხდომა ბოლო ორ დღეს ჟურნალისტებისგან დახურულად მიმდინარეობდა. სხდომის ბოლო დღე, როგორც მონაწილეებმა აღნიშნეს, განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა, რადგან ძირითადი შეთანხმებების მიღწევა სწორედ ამ დღეს მოხდა. მონაწილეთა ერთი ჯგუფი ეკონომიკურ, ხოლო მეორე - სამართალდამცავი ორგანოების სამომავლო თანამშრომლობის საკითხებზე მუშაობდა. მიუხედავად ჟურნალისტების მონდომებისა, მონაწილეები კომენტარებისგან თავს იკავებდნენ

გაგრძელება A2 გვერდზე

ვუდროფის საქმე

ხვალინდელ ნომერში წაიკითხავთ:

- FBI-მ საქართველოში სიცრუის დეტექტორი ჩამოიტანა.
- რატომ შეწყვიტა ფედერალურმა საგამოძიებო ბიურომ ვუდროფის მკვლელობის გამოძიება.
- ფრედ ვუდროფი ამერიკის ხელისუფლებასთან საქართველოს ლობირებდა.
- ვუდროფის განხორციელებული და განუხორციელებელი პროექტები.
- მკვლელობიდან ათი წლის შემდეგ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტის მკვლელობისთვის გასამართლებული ანზორ შარმაიძე სტრასბურგის სასამართლოს მიმართავს.

შევარდნაძეს შეშფოთების საფუძველი თავზესაყრელად აქვს

თამარ ხორბალაძე

ოპოზიციის, კონკრეტულად კი "დემოკრატების" მიერ შემოკრული განგაშის ზარის გაჟღერებიდან ზუსტად ერთი დღის თავზე, საქართველოს პრეზიდენტმა სახელმწიფო კანცელარიაში მთავრობის წევრები შემოიკრიბა და ქვეყანაში შექმნილ ეკონომიკურ მდგომარეობასა და სსფ-ს ვალდებულებების შესრულებაზე ანგარიში მოისმინა.

როგორც მოსალოდნელი იყო – საქართველოში არსებული რეალობის გათვალისწინებით, მოსმენილმა საქართველოს პრეზიდენტის აღშფოთება და გულისწყრომა გამოიწვია.

მან საკუთარ მთავრობას მორიგი გაფრთხილებები მისცა და კატეგორიულად მოითხოვა სავალუტო ფონდის რეკომენდაციების შესრულება სსფ-ს მისიის ვიზიტის წინ, რომელიც, სავარაუდოდ, ივნისში შედგება.

შესასრულებელი დარჩა ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდის შესახებ რეკომენდაცია, ასევე აჭარასთან საბიუჯეტო ურთიერთობის დარეგულირება, რომელიც დღეისათვის პრობლემატურია, მისაღებია რამდენიმე კანონპროექტი და, ტრადიციისამებრ, გარღვეულია ბიუჯეტი – ასეთია ის "მოკლე ჩამონათვალი", რომელიც საქართველოს სსფ-ს გულისწყრომის ადრესატად აქცევს.

ამ გულისწყრომის შედეგად საქართველომ, შესაძლოა, დაკარგოს სსფ-ს მხარდაჭერა, ამაზე კი "პარიზის კლუბში" საქართველოს საგარეო ვალების რესტრუქტურიზაციის საკითხი იქნება დამოკიდებული, რომელიც, სავარაუდოდ, აგვისტოში უნდა გადაწყდეს.

გაგრძელება A2 გვერდზე

ალპებზე მფრინავი მოცეკვავეები, შატილის ასული და მათი ხელმძღვანელი

დღეს საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური დამსახურებული ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელს ჯემალ ჭკუასელს 68 წელი შეუსრულდა. წინააღმდეგობებითა და დაბრკოლებებით სავსე გზაზე, რომელიც ნამდვილი შემოქმედის უცილობელი თანამდევია, ბატონმა ჯემალმა შეძლო იმ ალპიურ მწვერვალამდე მიეყვანა ანსამბლი "ერისიონი", რომელზეც დღეს არის. "ერისიონის" ოფისში გუშინ მისვლისას, დარბაზში გამართულ კვირის შემაჯამებელ კონცერტზე მოვხვდი. ძნელია აღტკინების, ემოციის, სიამაყის და ნამდვილი ხელოვნებით ტკბობის გარეშე უცქირო მონარნარე ასულებს, სამ დოლზე ერთდროულად დამკვრელ ვირტუოზ ყმაწვილს ან თუნდაც "ოდოიას" და "მრავალჟამიერის" მომღერლებს. ყოველივე ამის შემხედვარეს უმალ გეუფლება სურვილი შენც აენთო და იცეკვო მათთან ერთად, თუმცა ეს ხომ მხოლოდ პროფესიონალთა ხვედრია, რომელთაც ქართული "ჩაკრულო" თანამგზავრის საშუალებით გალაქტიკაშიც გაიტანეს.



ბესო ზალიკაშვილის ფოტო

ჯემალ ჭკუასელი 68 წლის გახდა.

ნათია ვადაჭკორია

ამ დღეებში ანსამბლ "ერისიონს" პარიზში უნდა ჰქონოდა გამოსვლა, მაგრამ ტურნე, ყველასათვის ნაცნობი პნევმონიის გამო ჩაიშალა. მერე უნდა ყოფილიყო ბელგია, შვეიცარია და ასე შემდეგ, რაც, სამწუხაროდ, შემოდგომისთვის გადაიდო.

ჯემალ ჭკუასელი: "ქართველმა მაყურებელმა, პირველ რიგში, უნდა ნახოს ის, რითიც ჩვენ მსოფლიო გვიცნობს, არადა თბილისში ამის საშუალება არ გვაქვს. ანსამბლი 100 ადამიანისგან შედგება. რაც შეეხება სცენას, ფილარმონიის სცენა, მართლაც, შეესაბამება სათანადო ხარისხს. ჩვენი უცხოელი პროდიუსერიც კმაყოფილი დარჩა ფილარმონიის სცენით. ერთადერთი რაც ჩვენ არა გვაქვს, განათებაა, რომელიც იმდენად მგრძნობიარეა, რომ სულ მცირე ძაბვის ვარდნის დროს ავტომატურად ითიშება. ვისაც არ უნახავს ეს შოუ –"ქართული ლეგენდა", ვერც კი წარმოიდგენს რა ეფექტს ახდენს იგი. ჩვენ თვითონ აღარ გვინდა, რომ

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 უცხოეთი A3 საზოგადოება A4 სამართალი A5 კულტურა A6 განცხადებები A7 სპორტი A8 სხვადასხვა

„აირზენას„ მესამე „ბოინგი„ და სიურპრიზი - მაკა ასათიანს

მაკა ასათიანი სიურპრიზით ოდნავ გაოცებული, მაგრამ უსაზღვროდ ბედნიერი იყო.

გიგა ბესარიძის ფოტო

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ბარსელონას მიმართულებით დაიწყებს ფრენას. რაც შეეხება "ბოინგის" კორპუსზე წარწერას - კახი ასათიანის სახელს, მაკა ასათიანისთვის ეს თამაზ გაიაშვილის მიერ მომზადებული სასიამოვნო სიურპრიზი იყო.

ერთადერთი ოფიციალური პირი, რომელიც "აირზენას" "ბოინგის" თბილისში ჩამოფრენას დაესწრო, თბილისის ვიცე-პრემიერი გია კარბელაშვილი იყო. მისი თქმით, "აირზენას" გარკვეული კლანები ებრძოდნენ, ახლაც ებრძვიან და კვლავაც გააგრძელებენ კომპანიისთვის პრობლემების შექმნას. სიტუაციის ასეთ სიმძიმეში ქალაქის ვიცე-პრემიერი ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილედ მუშაობისას დარწმუნდა, ამიტომ იგი მზად არის, კომპანიას, რომელსაც სახელმწიფო ბიუჯეტშიც სერიოზული თანხები შეაქვს, ყოველგვარი მხარდაჭერა აღუთქვას.

"აირზენა" კი, თავისი მესამე "ბოინგის" უკვე ოფიციალურ წარდგენას (და, იმედია, მის შესახებ, თუნდაც მცირედი ინფორმაციის გავრცელებას) მომავალ კვირაში გეგმავს.

„ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲔᲑᲘ" ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲡᲐᲛᲖᲐᲓᲘᲡᲡ ᲨᲔᲣᲓᲒᲜᲔᲜ

ᲑᲔᲚᲐ ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ

"დემოკრატები" ორშაბათს ვერის პარკის სპორტულ დარბაზში დელეგატთა კონფერენციას გამართავენ. ჩატარდება თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარის არჩევნები. "დემოკრატები", ასევე, მხარდამჭერთა რეგისტრაციას შეუდგებიან, რათა საარჩევნოდ დაახლოებითი ინფორმაცია ჰქონდეთ მათი რაოდენობის შესახებ.

კონფერენციაზე მოწვეული იქნება 4 000-მდე დელეგატი, რომლებიც საარჩევნო პროგრამას გაეცნობიან და თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარეს აირჩევენ. ჩვენი ინფორმაციით, ერთადერთ რეალურ კანდიდატად მიხეილ მაჭავარიანი დასახელდება. ამჟამად თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი დავით ხუციშვილია.

არ არის გამორიცხული, ზურაბ ჟვანიამ რამდენიმე პოლიტიკური განცხადებაც გააკეთოს. როგორც პარტიის გენერალურმა მდივანმა გოკა გაბაშვილმა ჩვენთან საუბრისას განაცხადა, მიმდინარეობს მსჯელობა, თუ რა სახის პოლიტიკურ განცხადებას გააკეთებს ზურაბ ჟვანია კონფერენციაზე.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲛᲖᲐᲓᲧᲝᲤᲜᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲕᲐᲛᲡ

"რუსეთი მზად არის, მონაწილეობა მიიღოს ენერგოსისტემის რეაბილიტაციის პროექტში, მაგრამ მხარეებს შორის მთავარ ამოცანად ელექტროენგიის გასაღება რჩება", - განაცხადა აფხაზეთის ვიცე-პრეზიდენტთან ვალერი არშბასთან შეხვედრაზე "რუსეთის ერთიანი ენერგოსისტემის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ანდრეი რაპოპორტმა. მისი თქმით, აუცილებელია ენერგომეურნეობის რეაბილიტაციის ბიზნეს-პროექტის მომზადება, რომელიც ყველა დაინტერესებულ მხარესთან შეთანხმებული იქნება, ვინაიდან "ყველა ენერგოობიექტი, ენეგურჰესის ვარდნილჰესების ჩათვლით, უმძიმეს მდგომარეობაშია".

"ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციის პროექტს უდიდესი მნიშნელობა აქვს. ვარდნილჰესების სასწრაფო აღდგენის გარეშე, ენგურის ჰიდროელექტროსადგურს საერთოდ დავკარგავთ", - განაცხადა აფხაზეთის ვიცე-პრეზიდენტთან შეხვედრის დასრულების შემდეგ, საქართველოს სათობობ-ენერგეტიკის მინისტრმა დავით მირცხულავამ. "შემიძლია ვთქვა, რომ საქართველო ამ საკითხზე უკვე მუშაობს. ენგურის ჰიდროელექტროსადგურის, კაშხლის თაღისა და სხვა ობიექტების რეაბილიტაციაში ჩადებული იქნება 62 მილიონი დოლარი, მგარამ ეს მხოლოდ პირველ ეტაპია. სრული რეაბლიტაციისათვის საჭირო იქნება 100 მილიონ დოლარზე მეტი", - დასძინა მირცხულავამ. ელექტროენერგიის გაყიდვის საკითხს ქართველი მინისტრიც მეტად მნიშვნელოვან საკითხად მიიჩნევს. მირცხულავას აზრით, "ელექტროენერგიის გასაღების გარეშე, არავითარი ერთობლივი პროექტი არ იქნება ".

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ეკონომიკისა და საგარეო პოლტიკური კავშირების მინისტრი კონსტანტინე ტუუბა მიიჩნევს, რომ რუსეთისა და საქართველოს მიერ შემოთავაზებული ენერგეტიკული პროექტი დიდი ყურადღებით უნდა დამუშავდეს. "პირადად მე უკვე დამებადა რამდენიმე შეკითხვა, ვინაიდან ყველაფერი ნაჩქარევად კეთდება", - განაცხადა კონსტანტინე ტუუბამ.

კავკასს-პრესი

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

თბილისი. "სოციალისტური" პარტიის ლიდერი ვახტანგ რჩეულიშვილი დღევანდელ პოლიტიკურ სპექტრში ნამდვილ და ერთადერთ ოპოზიციას "ლეიბორისტულ" პარტიას უწოდებს და აცხადებს, რომ "ლეიბორისტულ" პარტიას მთელი მისი მოღვაწეობის პერიოდში არც სამოქმედო გეგმა და არც მთავრობის საწინააღმდეგო ლოზუნგები არ შეუცვლია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. რუსეთ-საქართველოს საზღვრის აფხაზურ მონაკვეთზე, საკონტროლო-გამშვებ პუნქტ "ვესიოლოეს" რაიონში, მდინარე ფსოუზე გამავალი ხიდი, რომელსაც რუსი სპეციალისტები აშენებენ, ექსპლუატაციაში, სავარაუდოდ, მიმდინარე წლის შემოდგომაზე შევა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ხელისუფლების მხარდამჭერი საპარლამენტო ფრაქცია "მოქალაქეთა კავშირის" ლიდერის ვიტალი ხაზარაძის განცხადებით, სახელისუფლო ფრაქციები პრინციპულად მოითხოვენ მომავალ სასესიო კვირაში საარჩევნო კოდექსის ცვლილებების პროექტის პირველი მოსმენით მიღებას. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. "დემოკრატიული აღორძინების კავშირის" რიგებში გაერთიანების სურვილი "ლიბერალებმა", "ქრისტიან-დემოკრატიულმა ალიანსმა" და "დევნილთა ლიგამ" გამოთქვეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის საკრებულოს ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობა", სავარაუდოდ, ერთი წევრით შემცირდება. გავრცელებული ინფორმაციით, ფრაქციის წევრმა ბეჟან კალანდაძემ ფრაქცია "ერთობაში" გადასვლის გადაწყვეტილება მიიღო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. მსოფლიო ბანკის დირექტორთა საბჭომ დაამტკიცა 15 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის კრედიტი საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის მეორე პროექტისათვის. საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის მეორე პროექტი ხელს შეუწყობს საქართველოს დაბალი შემოსავლების მქონე თემების ცხოვრების სტანდარტების გაუმჯობესებას. საერთაშორისო განვითარების სააგენტოს აღნიშნულ კრედიტს 10-წლიანი შეღავათიანი პერიოდი აქვს და 40 წელს მოიცავს. ბანკის ამჟამინდელი დახმარება საქართველოსათვის შეადგენს 293 მილიონ აშშ დოლარს და 18 პროექტს მოიცავს. **კავკასს-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ევროკომისია ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში გზების მშენებლობისა და გაზიფიკაციის პროცესს დააფინანსებს. განსაკუთრებულ საქმეთა სამინისტროს აპარატის უფროსის ლალი მოროშკინას განცხადებით, საწყის ეტაპზე ამ პროექტებში ჩადებულია 3,8 მილიონი ევრო. ასეთია იმ სამდღიანი შეხვედრის შედეგი, რომელიც ევროკომისიის, საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებმა გამართეს. შეხვედრას ასევე ესწრებოდა სამშვიდობოების ხელმძღვანელობა, რომელიც კონფლიქტის ზონაში 1992 წლიდან ფუნქციონირებს. ევროკომისია, აგრეთვე, გეგმავს დააფინანსოს რეგიონში კონტრაბანდის შემცირების დონე. **კავკასს-პრესი**

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲯᲝᲠᲑᲔᲜᲐᲫᲔ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔᲡᲗᲐᲜ „ᲐᲤᲠᲘᲜᲐ"

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ᲯᲝᲠᲑᲔᲜᲐᲫᲔ - ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲘᲡ ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲘ ᲛᲐᲠᲢᲘᲕᲘ ᲐᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ.

ᲑᲔᲚᲐ ᲒᲐᲒᲚᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲔᲑᲘ

თუმცა, გარდა ამ "ეკონომიკური" დეტალებისა, სახელმწიფო მინისტრსა და სახელისუფლო ბლოკის ლიდერს რეგიონისა და, ამავდროულად, ოპოზიციური "აღორძინების" ხელმძღვანელთან სასაუბრო უდავოდ ბევრი აქვს. მით უმეტეს მაშინ, როცა სახელისუფლებო ბლოკი საარჩევნო კოდექსის პარლამენტში "გატანას" უკვე კატეგორიულად აპირებს; მაშინ, როცა ასლან აბაშიძე საქართველოს პრეზიდენტზე "პოლიტიკურ თავდასხმებს" აძლიერებს და, რაც მთავარია – მაშინ, როცა, ასლან აბაშიძესთან კონსულტაციები სახელისუფლებო ბლოკის მთავარი მოწინააღმდეგეების წარმომადგენლებმაც გამართეს, როგორც ეს "24 საათისთვის" გახდა ცნობილი. თუმცა, ვიზიტის ოფიციალური თემა, შეგახსენებთ, საბიუჯეტო საკითხები იყო.

მოლაპარაკებები რომ მარტივი არ იქნებოდა, ამას ცხადყოფდა ასლან აბაშიძისა და მისი პრესსამახურის მიერ ვიზიტის წინ გავრცელებული ინფორმაციაც იმის თაობაზე, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერი საქართველოს პრეზიდენტს აჭარის ეკონომიკური განვითარების შეფერხებაში ადანაშაულებს. **"შევარდნაძე ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ რეგიონში ინვესტიციების მოზიდვა, ასევე ქარხნების, ფაბრიკების და ელექტროსადგურების მშენებლობა დაბლოკოს".** – აცხადებს ასლან აბაშიძე.

"ჩვენ არანაირი გარანტია არ გვაქვს, რომ ხვალინდელი დღე იმაზე უარესი არ იქნება, ვიდრე დღევანდელია", - ნათქვამია აჭარის ლიდერის პრესსამსახურის უფროსის, თამაზ ბაკურაძის გუშინ გავრცელებულ განცხადებაში.

მისივე თქმით, შევარდნაძის ხელისუფლება მომავალ არჩევნებზე ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ მმართველი პარტიის სტატუსი შეინარჩუნოს. თამაზ ბაკურაძე ასევე არ გამორიცხავს, რომ წინასაარჩევნოდ ხელისუფლება საგანგებო მდგომარეობას გამოაცხადებს და არჩევნების გასაყალბებლად ყველა შესაბამის ბერკეტს გამოიყენებს.

თუმცა, სერიოზული პრობლემების მიუხედავად, ისიც ცხადია, რომ ცენტრმა რეგიონში სერიოზული ეკონომიკური დათმობების დაპირება ჩაიტანა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასლან აბაშიძე საბიუჯეტო საკითხებზე საუბარს საერთოდ რომ არ ისურვებდა, ეს ავთანდილ ჯორბენაძემ ამ თემაზევე შემდგარი წინა წარუმატებელი ვიზიტის გამოცდილებითაც უწყის.

ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔᲡ ᲨᲔᲛᲨᲤᲝᲗᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲘ ᲗᲐᲕᲖᲔᲡᲐᲧᲠᲔᲚᲐᲓ ᲐᲥᲕᲡ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

შეგახსენებთ, რომ საქართველოს საგარეო ვალი დღეისათვის მილიარდ 700 მილიონი აშშ დოლარია.

საქართველოს მთავრობა მაინც იმედიანადაა განწყობილი და არ გამორიცხავს, რომ სსფ-ს რიგი რეკომენდაციების შესრულების თვალსაზრისით არსებული პრობლემების მიუხედავად, მისია სსფ-ს დირექტორთა საბჭოზე საქართველოს "პარიზის კლუბში" მხარდაჭერის შესახებ რეკომენდაციას მისცემს (ძირითადად, პოლიტიკური მოტივებიდან გამომდინარე). მიუხედავად ამისა, საქართველოს პრეზიდენტმა გუშინ რისხვა თითქმის ყველა მინისტრს დაატეხა თავზე.

პრეზიდენტს საამისოდ, სსფ-ს რეკომენდაციების შეუსრულებლობის გარდა, სხვა შიდაეკონომიკური საფუძვლებიც ჰქონდა. გუშინ, შეხვედრაზე საგანგებოდ არ განუხილავთ ბიუჯეტის შესრულების საკითხი, რომელიც მომავალში საქართველოს პრეზიდენტის მორიგი გაცხარების მიზეზი უდავოდ გახდება: ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე წლის ოთხ თვეში საბიუჯეტო გარღვევამ 41 მილიონ 380 ათასი ლარი შეადგინა.

მიმდინარე წლის აპრილში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებას 23 მილიონ 480 ათასი ლარი დააკლდა და დაგეგმილი 91 მილიონ 30 ათასი ლარის ნაცვლად, 67 მილიონ 520 ათასი ლარის მობილიზება მოხერხდა.

ამასთან, საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, აპრილში, ცენტრალურ ბიუჯეტში 68 მილიონ 60 ათასი ლარი შევიდა, რის გამოც განვლილი თვის საბიუჯეტო გეგმის შესრულებას 22 მილიონ 970 ათასი ლარი დააკლდა.

ხოლო თუ იმასაც დავუმატებთ, რომ აპრილის პენსიები მხოლოდ თბილისში და რამდენიმე დიდ ქალაქშია დაფარული, საქართველოს პენსიონერთა უმეტესობას კი ჯერ მხოლოდ იანვრის პენსია აქვს აღებული, ცხადი ხდება, რომ საქართველოს პრეზიდენტს და, ამავდროულად, სახელისუფლებო ბლოკის თავმჯდომარეს შეშფოთების საფუძველი უდავოდ აქვს. ამ შეშფოთების გამოხატულება გახლდათ ის ფაქტიც, რომ გუშინვე შევარდნაძემ სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე სასწრაფოდ ბათუმში გააგზავნა.

ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲭᲠᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲛᲮᲐᲠᲘᲡ ᲩᲐᲣᲠᲔᲕᲚᲐᲓ ᲝᲡᲔᲑᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲘᲐᲩᲜᲘᲐᲗ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ᩮᲝᲩᲘᲔᲕᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲭᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲨᲔᲮᲕᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ.

ᲑᲔᲚᲐ ᲒᲐᲒᲚᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲔᲑᲘ

მთელი დღის განმავლობაში და მხოლოდ საღამოს 6 საათისთვის გამონახეს ამისთვის მცირეოდენი დრო.

"სამართალდამცავთა ჯგუფმა წარმოგვიდგინა მოსაზრებები. ეხლა მიეცათ დავალება, რომ წერილობითი სახით წარმოადგინონ პროექტი და დღის ბოლომდე მოეწერება ხელი", - განაცხადა კონფლიქტის დარეგულირების საკითხში საქართველოს პრეზიდენტის პირადმა წარმომადგენელმა ირაკლი მაჭავარიანმა, - **მაგრამ შეთანხმების მიხედვით, სხდომის ძირითადი დრო ეკონომიკურ საკითხებს დავუთმეთ. ამ მხრივ საკმაოდ სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა."** მეორე მნიშვნელოვან საკითხად მას ევროკავშირის პროგრამა მიაჩნია: **"ოსური მხარე არ თანხმდებოდა ტვირთების გადაზიდვის მაკონტროლებელი პუნქტის შექმნას, ევროკავშირი ამ პუნქტის გარეშე არ თანხმდებოდა ამ პროგრამის წარმართვას. დღეს გადაწყდა, რომ დაიწყება იმ 1,3 მილიონი ევროს ათვისება, რომელიც არ არის განსაზღვრული გორი-როკის ავტომაგისტრალისა და ტვირთების გადამზიდავი პუნქტისთვის. აქამდე ეს ბლოკირებული იყო და, ფაქტობრივად, წელიწადზე მეტია, 2,5 მილიონი ევროდან კაპიკის ათვისება არ ხდებოდა."** ირაკლი მაჭავარიანის განცხადებით, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ტვირთების გადაზიდვის მაკონტროლებელ პუნქტებთან დაკავშირებით კონსულტაციები გაგრძელდება, ხოლო 1,3 მილიონ ევროს ათვისებასთან დაკავშირებით შეჯერდება ქართული და ოსური მხარეების წინადადებები და აირჩევა პრიორიტეტები. სხდომის დასაწყისში უკმაყოფილო, თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის საგანგებო საქმეთა მინისტრმა ბორის ჩოჩიევმა, მიღწეულ შედეგებზე საუბრისას უპირველესად სწორედ ევროკავშირის მიერ გამოყოფილი თანხის ნაწილის ათვისებაზე გაამახვილა ყურადღება. სამართალდამცავი ორგანოების მუშაობაზე საუბრისას კი მან უკმაყოფილება გამოთქვა ქართულ-ოსური საკოორდინაციო ცენტრის საქმიანობის გამო. **"მან ვერ იმუშავა, რადგან ეს იყო მკვდრადშობილი ორგანო. ჩვენ თავიდანვე ვთქვით, რომ თუ ქართულ და ოსურ მხარეებს შეუძლიათ საკითხები გადაჭრან მესამე მხარის ჩაურევლად, მაშინ არ იქნებოდა შერეული საკონტროლო კომისია. დღეს ორი დაპირისპირებული მხარეა - საქართველო და სამხრეთ ოსეთი, ამიტომ ნებისმიერ ორგანოში, რომელიც შეიქმნება, უნდა იყოს მესამე, მეოთხე მხარე"** - აცხადებს ბორის ჩოჩიევი.

კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც სხდომაზე საუბარი იყო, შერეული სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის გენერალ სტანისლავ ნაბზდროვის გაწვევა იყო. **"ჯერ კიდევ წინა სხდომაზე დავაყენე საკითხი, რომ ვადას ვაძლევდი მომდევნო სხდომამდე და თუ გადაჭრიდა არსებულ პრობლემებს, ხმას მივცემდი მის დანიშვნას, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში მოვითხოვდით გაწვევას. დღეს ამაზე უკვე ვისაუბრეთ და მგონია, რომ დადებითად უნდა გადაიჭრას. ამ შემთხვევაში რუსეთის თავდაცვის სამინისტროს პოზიციაა გადამწყვეტი,"** - ამბობს მაჭავარიანი. ჩოჩიევი საწინააღმდეგოს აცხადებს და ამბობს, რომ ნაბდზოროვი თავის მოვალეობას ასრულებს. **"შეიძლება არის რაღაც ნიუანსები, მაგრამ ამისგან არავინაა დაზღვეული და თუ სხვა მოვა მის ადგილას, არა ვარ დარწმუნებული, რომ ყველაფერი კარგად იქნება."** თავად ნაბდზოროვი მთელი დღის განმავლობაში თავს არიდებდა ჟურნალისტებს, დღის ბოლოს კი მხოლოდ ის განგვიცხადა, რომ მას ამ საკითხთან დაკავშირებით არაფერი გაუგია და თავის მოვალეობას კვლავ შეასრულებს.

შერეული საკონტროლო კომისიის შემდეგი სხდომა, სავარაუდოდ, ივლისში, მოსკოვში გაიმართება.

ᲤᲝᲢᲝ

ეს ფოტო რედაქციას გამოუგზავნა შვედეთის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარემ, ქალბატონმა მარინა აქსელმა და თან მცირე ტექსტიც აახლა:

"საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შეხვდა ქართველ ემიგრანტებს და საქართველოდან ჩამოსულ სტუდენტებს. შეხვედრა იყო საინტერესო და საქმიანი. დიდ მადლობას ვუხდით ქალბატონ ნინოს და ბატონ აკაკი ასათიანს ასეთი გულთბილი მიღებისთვის. ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე მარინა აქსელი"

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘ: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მაღლაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ᲤᲝᲢᲝ: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲘ: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. ᲡᲢᲘᲚᲘ: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ - ზურა ჯაოშვილი.

დევნილ ექიმებს შეუძლიათ მშვიდად იყონ

მაკა ჯაიანი

წყნეთში ჩასახლებულმა დევნილმა ექიმებმა პარასკევს პარლამენტის თავმჯდომარესთან გამართულ შეხვედრაზე, მათი სერთიფიცირების საკითხიც დააყენეს. სერთიფიცირების პროცესში მონაწილეობის მისაღებად ექიმმა 130-150 კრედიტ-საათი უნდა დააგროვოს, ეს კი გარკვეული თანხა ღირს. დევნილი ექიმები სწორედ ამას აპროტესტებდნენ.

"10 კრედიტ-საათი რომ მოაგროვო, 60-70 ლარის უნდა გადაიხადო. 130-170 კრედიტ-საათს 1800 ლარამდე უნდა. ამის გარეშე სასერთიფიკაციო გამოცდებს ვერ ჩააბარებ, ესე იგი, ვეღარც იმუშავებ. საიდან მოვიტანოთ ამდენი ფული? იმაზე აღარაფერს ვამბობთ, რომ წიგნები, მასალებია საჭირო. ბოლო კაპიკები დავდეთ, ვიყიდეთ ყველაფერი და მოვემზადეთ წინა გამოცდებისთვის. ახლაც მოვემზადებით, დახელოვნება რომ საჭიროა, ეს ჩვენც კარგად ვიცით, მაგრამ ფული თუ ეღირა ეს, ვერ მოვახერხებთ. სულ 375 ექიმი ვართ ამ დღეში და, იქნებ, გაგვიწიოთ ანგარიში. დავბრუნდებით აფხაზეთში და ქვეყანას იქ დავჭირდებით," – ემოციებს ვერ ფარავდა დევნილი თეა სიჭინავა.

დევნილი ექიმების საშუალო ხელფასი 30 ლარია, თუმცა, ყოველთვის მასაც ვერ იღებენ. მაგალითად, 1997-2000 წლებში ნაშრომი დღემდე აუნაზღაურებელი აქვთ. ამას ემატება საადაზღვევო კომპანიის ორწლიანი დავალიანებაც. ადამიანები, ვისაც ისინი ემსახურებიან, მათსავით დევნილი და უქონელია, შესაბამისად, ჰონორარის იმედი არ უნდა ჰქონდეთ. ასეთ ვითარებაში მყოფი ექიმების შეშფოთება ძნელი გასაგები არ უნდა იყოს. მათმა მდგომარეობამ ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეც აღაშფოთა. **"კი, მაგრამ, ამდენი ხანია უწყვეტი სწავლების პროგრამას ვამუშავებდით და, თუ პრობლემები იქმნებოდა, თქვენი წარმომადგენლობა რას უყურებდაო?"** – იკითხა ზეზვა ღუღუნიშვილმა.

პარლამენტის თავმჯდომარემ მოსაგვარებელთა სიაში ეს საკითხიც შეიტანა, თუმცა, როგორც "24 საათს" შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში განუცხადეს, მოსაგვარებელი არაფერია. **"როგორც ჩანს, დევნილ ექიმებს არასწორი ინფორმაცია აქვთ. კრედიტ-საათებს ისინი უფასოდ დააგროვებენ. შესატანს ბიუჯეტი დაფარავს,** – განმარტავს მინისტრის მოადგილე იაგო კალანდაძე, - **ასეთი შეღავათი ჩვენ მათ პირველ ჯერზეც გავუკეთეთ. დევნილი და საზღვრისპირა რეგიონებში მცხოვრები ექიმებისთვის ეს პროცესი უსასყიდლოდ ტარდება."** დანარჩენებისთვის დადგენილი ჯერ მხოლოდ სასერთიფიკაციო მოსაკრებლის რაოდენობა – 60 ლარია. კრედიტ-საათების ღირებულება კი ლექციათა კურსზე იქნება დამოკიდებული.

მაჟორიტარი მემორიალს დააფინანსებს

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს - 26 მაისს ვეტერანთა პარკში (ყოფილი კიკვიძის ბაღი) აფხაზეთსა და სამაჩაბლოში დაღუპულ მეომართა მემორიალი გაიხსნება. მემორიალის დადგმას პარლამენტარი, ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი მერაბ სამადაშვილი აფინანსებს. ამჟამად პარკში გამწვანებითი სამუშაოები მიმდინარეობს, წესრიგდება მემორიალის მიმდებარე ტერიტორიები, იღებება დასასვენებელი სკამები. უკვე ყვავილების დღესასწაულისათვის, რომელიც ივნისში აღინიშნება, ყვავილებით დედაქალაქის ყველა სკვერი გალამაზდება. **ინტერ-პრესი**

უფლებების კარგად ცოდნა მოვალეობის ცოდნაც არის

ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს ეგიდით, გუშინ საქართველოს განათლების სამინისტროში ბავშთა კონფერენცია მოეწყო. "ბავშთა უფლებების დაცვა" – ასე დასათაურებულ ამ ღონისძიებაში წყნეთსა და ვაშლიჯვარში განთავსებული სოხუმის დევნილი სკოლების, გალის საღამოს სკოლისა და თბილისის 123-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა წარმოადგინეს საკუთარი პროექტები: "მსურს, იყოს მშვიდობა", "მშვიდობა, ჯანმრთელი კვება", "ვთვლი, რომ საშიშია", "სუფთა წყალი". გასულ წელს ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს დახმარებით, ქართულ და რუსულ ენებზე გამოიცა წიგნი "გზა ადამიანის უფლებებისკენ", რომელიც საქართველოს სკოლებში კლასგარეშე ლიტერატურის სახით ისწავლება. "ეს სახელმძღვანელო ჩვენს აღსაზრდელებს საკუთარი უფლებებისა და მოვალეობის შესახებ ცოდნას მისცემს. საკუთარი უფლებების კარგად ცოდნა კი საკუთარი მოვალეობის ცოდნას განაპირობებს," - აღნიშნა კონფერენციაზე განათლების მინისტრმა ალექსანდრე კარტოზიამ. **ინტერ-პრესი**

მოკლედ

თბილისი. 25 მაისს თბილისი-ქობულეთის მიმართულებით ექვსვაგონიანი ელექტრომატარებელი გავა. შპს "საქართველოს რკინიგზის" პრესსამსახურის ცნობით, საქართველოს სარკინიგზო პარკი ახალი მატარებლით მას შემდეგ შეივსო, რაც რიგაში შესაძლებელი გახდა "ლიტვა-გერმანია-ფინეთის" ერთობლივი ნაწარმის შეძენა.

"საქართველოს რკინიგზის" სამგზავრო მეურნეობის სამსახურის უფროსის დავით გელაშვილის თქმით, პარკი უახლოეს მომავალში ორი ათვაგონიანი მატარებლით შეივსება, რომელიც ასევე რიგაში იქნება შეძენილი. "საქართველოს რკინიგზას" დაგეგმილი აქვს ღამის მატარებლების ჩანაცვლება ახალი მატარებლებით და, შესაბამისად, სარკინიგზო პარკის განახლება," - განაცხადა გელაშვილმა და დასძინა, რომ პარკის ახალი მატარებლებით განახლება მგზავრობის ღირებულებაზე გავლენას არ იქონიებს. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისს ბუნებრივი აირის მიწოდება ჯერჯერობით არ შეუწყდება. სს "თბილგაზის" ფინანსური დირექტორის დავით გურგენაშვილის განცხადებით, კომპანია "იტერასთან" მიღწეულია შეთანხმება, რომ დავალიანების დროულად გადაუხდელობის მიუხედავად, თბილისს გაზი 20 მაისამდე არ გაეთიშება. სს "თბილგაზს" აპრილში მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასური 15 მაისამდე უნდა დაეფარა. მარტის თვეში მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის დარჩენილი ნაწილის 86 ათასის გარდა, სს "თბილგაზს" იტერას მიმართ 1 600 000 დოლარზე მეტი დავალიანება აპრილის თვეში დაუგროვდა. გურგენაშვილის თქმით, ორშაბათს "თბილგაზისა" და მერიის ერთობლივი ძალებით აღნიშნული თანხა "იტერაში" მთლიანად გადაირიცხება, მიუხედავად იმისა, რომ უწყების საბანკო ანგარიში კვლავ დაყადაღებულია. **კავკას-პრესი**

იპოვის თუ არა სამი წიწილა მზეს

არტ-ჰოლელები შრომაში და სწავლაში.

ეთერ მამულაშვილი

ვისაც აინტერესებს, თუ სად ცხოვრობს დიდი ცხრათვალა მზე, ამის გაგება ერთ-ერთი ქართული რადიოს ეთერით სულ რაღაც ორ კვირაში შეიძლება. უჩვეულო, დღემდე არ გაგონილი რადიოდადგმებისა და ზღაპრების სერიალი, რომელსაც ბებია-პაპების თაობაც სიამოვნებით მოუსმენს, თვის ბოლოდან დაიწყება. რადიოსპექტაკლებში პროფესიონალ მსახიობებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ ის უნარშეზღუდული ბავშვები, რომლებიც ხელოვნების საყმაწვილო ცენტრის, "არტ-ჰოლის" "სტუდენტები" არიან.

"არტ-ჰოლის" გარეშე, ერთი უბარლო ბავშვი ვარ", - ამას 12 წლის ბაჩო ნორაკიძე წერს.

დაახლოებით, ასე ფიქრობს ის სამოცდაათამდე ბავშვიც, რომლებიც მსახიობის ოსტატობას, პრესისა და რადიოჟურნალისტიკას წლების განმავლობაში ეუფლებიან "არტ-ჰოლში".

თეატრის დიდ სცენაზე თამაშსა და მხურვალე აპლოდისმენტებს ბავშვები უკვე კარგა ხანია შეჩვეულები არიან. "არტ-ჰოლელებმა" გასულ წელსაც პროფესიონალებივით მოახერხეს რამდენიმე წარმატებული სპექტაკლის დადგმა და მაყურებლის აცრემლება;

დიდი ჟურანლისტებივით საკუთარი გაზეთიც დააარსეს და რამდენიმე საცდელი რადიოგადაცემაც ჩაწერეს.

"თქვენი მეგობარი" - ასე ერქვა იმ გაზეთს, რომლის მხოლოდ შვიდი ნომრის გამოშვება მოასწრეს ბავშვებმა. დაუჯერებელია, მაგრამ გაზეთის გამოცემა უფროსებმა თავიდან ბოლომდე ბავშვებს მიანდეს. სტატიები, რუბრიკები, წერილები, სტილი, დიზაინი მთლიანად ბავშვებს ეკუთვნით. დაკაბადონებაშიც კი "არტ-ჰოლელებმა" თავისი პატარა წვლილი შეიტანეს. ვერაფერს იტყვი, "თქვენი მეგობარი"-ს შვიდივე ნომერი ისეთი გამოვიდა, ბევრ თანამდროვე გაზეთსაც შეშურდებოდა.

"შვიდფერი", "ნატვრის ხე", "ონავართა კლუბი", "სტუმრად ზღაპართან", ასეთი უცნაური რუბრიკები ბავშვებს გაზეთში მუდმივად ჰქონდათ. გაზეთში უხვად იყო საინტერესო ამბები და სახალისო ისტორიები, რომელსაც უფროსი თაობაც კი ერთი ამოსუნთქვით კითხულობდა. მაგალითად, რუბრიკაში "მარად ცოცხალი მიუნჰაუზენი" პატარა ბაჩო თავის თანატოლებს დაუჯერებელ ამბავს უყვება: თურმე, ამას წინათ ტერორისტებს ჯორჯ ბუში გაუტაცებიათ და გამოსასყიდად ოცი მილიონი დოლარი მოუთხოვიათ. ედუარდ შევარდნაძე სასწრაფოდ ბაჩოს დაკავშირებია და მისთვის დახმარება უთხოვნია. ბაჩო მაშინვე ამერიკაში ჩაფრინდა... "ვისაც ჩემი მუშტი მოხვდა, დედის დასატირებელი გახდა. იყო თეთრკანიანი, გახდა ლურჯკანიანი", - ჰყვება ბაჩო, რომლის წყალობითაც, ამერიკის პრეზიდენტი საკუთარ ოჯახს დაბრუნებია და ერთი მილიონი დოლარი საქართველოს ანგარიშზეც ჩაურიცხავს.

ათი-თორმეტი წლის დიქტოფონით "შეიარაღებული" გოგო-ბიჭები რესპონდენტებს ინტერვიუზე სახლშიც სტუმრობდნენ. მათი რესპონდენტები ხშირად ის ადამიანები იყვნენ, ვისთანაც საუბარს დიდი ჟურნალისტებიც კი იშვიათად ახერხებენ. პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე, საგარეო საქმეთა მინისტრი, ნონა გაფრინდაშვილი, დღეს "არტ-ჰოლში" დიდი ფუსფუსი და ხმაურია. პატარები რადიო გადაცემებს წერენ და სტუდიიდან გვიან ღამემდე ცხირს ვერ ყოფენ. პრეზენტაციისთვისაც მონდომებით ემზადებიან. ყველაფერი ისე იქნება, როგორც ამას უფროსები აკეთებენ. წინა დღეს პრესკონფერენციის მოაწყობენ, ჟურნალისტებს პრესრელიზებს დაურიგებენ და სამომავლო გეგმებსაც მოუყვებიან; მერე ალა-ფურშეტიც იქნება...

ზღაპრების სერია, რომელსაც ბავშვები სტუდიაში, თითქმის, ყოველ დღე წერენ, ძალიან ქართული და, იმავდროულად, არატრადიციულია. ამ ზღაპრებში ბოროტი ჯადოქრები და ცხრათავიანი დევები არ მონანილეობენ, აქ არც ავი დედინაცვლი და არც ატირებული ეთერისნაირი გოგონები არ გვხვდებიან.

ჯერჯერობით ყველაფერი გასაიდუმლოებულია. "არტ-ჰოლის" ხელმძღვნელი, მსახიობი გოგა პიპინაშვილი ამბობს, რომ მსმენელს წინ ბევრი სიურპრიზი ელოდება. ერთი რისი გაგებაც მოვახერხე, ეს სამი წიწილისა და ყვითელი მზის დამაინტრიგებელი ამბავია. სამი ფუმფულა წიწილა მთელი ზღაპრის განმავლობაში მზის საცხოვრებელ სახლს ეძებს. გზაში მათ ბევრი საინტერესო და უჩვეულო თავგადასავალი გადახდებათ, ბოლოს კი...

თუ რა იქნება ბოლოს, ამას მალე შეიტყობთ - დაელოდეთ, დაიჭირეთ და მოუსმინეთ "არტ-ჰოლს" F.M. დიაპაზონზე.

ორშაბათიც გათენდება!

დიდი პაპის ბიუსტთან.

ზაზა ფაჩუაშვილი

აკადემიკოს ოთარ ღუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრთან ქვეყნის სამედიცინო ელიტა უკვე მეორედ შეიკრიბა. პირველად - გასული წლის ნოემბერში, როცა კლინიკა საზეიმოდ გაიხსნა; მეორედ კი - გუშინ, როცა ცენტრის შესასვლელთან მისი დამაარსებლის აკადემიკოს ოთარ ღუდუშაურის ბიუსტი გახსნეს.

ბიუსტის გახსნაში თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ბებიის მკლავებში ატატებულმა ოთარ ღუდუშაურის პატარა შვილთაშვილმა, რომელიც საზეიმო ცერემონიალის დროს "სოსკიანი" ბოთლით შეიარაღებული დაბაჯბაჯებდა დიდი პაპის ძეგლის გარშემო.

გამომსვლელები დიდი სიამაყით საუბრობდნენ სახელოვანი ექიმის ფასდაუდებელი ღვაწლის შესახებ, რამაც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს შეიძინა მსოფლიო მნიშვნელობა. ასეთი აღიარება წილად ხვდა მის მიერ შექმნილ კომპრესიულ-დისტრაქციულ აპარატს, რომელიც წარმატებით გამოიყენებოდა პოლიომიელიტის მსხვერპლთა რეაბილიტაციისათვის.

"ექვსი წელი ველოდი ეროვნული სამედიცინო ცენტრის გახსნას და რაოდენ ბედნიერი ვარ, რომ დღეს მამაჩემის გვერდზე დგომას ვგრძნობ. დიდი მადლობა ყველას, ვინც დაგვეხმარა," – ბრძანა ხელმძღვანელმა, ეროვნული სამედიცინო ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, ოთარ ღუდუშაურის შვილმა, პროფესორმა, მარინა ღუდუშაურმა და სტუმრები ცენტრის დასათვალიერებლად მიიწვია.

"კარგია... არაჩვეულებრივია... ამიერკავკასიაში ანალოგი არა აქვს...", – ეუბნებოდნენ ერთმანეთს უახლესი აპარატურით მოხიბლული პროფესორები.

ეროვნული სამედიცინო ცენტრი პირველ პაციენტს ორშაბათს მიიღებს.

უცხოეთი

კასაბლანკა - სისხლიანი ტერორის მორიგი სცენა

სასტუმრო "საფირი" ტერაქტის შემდეგ.

REUTERS

ლევან ღირსიაშვილი

პარასკევს, გვიან საღამოს, მაროკოს ქალაქ კასაბლანკაში რამდენიმე ძლიერი აფეთქება მოხდა. მაროკოს ხელისუფლება, თავდაპირველად, სულ ცოტა, 24 ადამიანის დაღუპვის შესახებ იუწყებოდა. თუმცა, მოგვიანებით ეს ციფრი მნიშვნელოვნად გაიზარდა. სააგენტო "როიტერის" ცნობით, აფეთქების შედეგად, სულ მცირე, 40 ადამიანი დაიღუპა და ასამდე - მძიმედ დაიჭრა.

როგორც გაირკვა, ნახევარი საათის განმავლობაში, ადგილობრივი დროით, 22 საათზე, ქალაქის ცენტრის სხვადასხვა ადგილებში ხუთი აფეთქება განხორციელდა. აფეთქებები მოხდა ესპანურ რესტორანთან, სასტუმროსთან, ბელგიის საკონსულოსთან, ებრაული თემის ცენტრთან და ებრაელთა სასაფლაოზე. მაროკოელმა ჟურნალისტმა აბუბაქრ ჯამაიმ, სააგენტო "ბიბისისთან" საუბარში განაცხადა, რომ თვითმხილველები უამრავი დაჭრილის და დაღუპულის შესახებ საუბრობენ. მისი თქმით, ტრაგედიის ადგილებზე დაღუპული ადამიანების სხვადასხვა ნაწილები იყო მიმოფანტული. არსებული ინფორმაციით, სულ ცოტა, სამ აფეთქებაში გამოყენებული იყო ასაფეთქებელი ნივთიერებებით დატვირთული ავტომანქანები, ხოლო სასტუმრო "საფირთან" აფეთქება ტერორისტმა კამიკაძემ განახორციელა.

მაროკოს ხელისუფლების განცხადებით, აფეთქებების შედეგად, ათი ტერორისტი კამიკაძე დაიღუპა. გარდა ამისა, არსებობს სერიოზული ეჭვი, რომ ერთ-ერთი დაჭრილი ტერაქტის მონაწილე იყო. მასთან ერთად დაკავებულია კიდევ ორი ეჭვმიტანილი პირი. სამივე მათგანი მაროკოელია. ბელგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ბელგიის საკონსულოს შენობა ტერაქტის შედეგად მნიშვნელოვნად დაზიანდა. საკონსულოს მცველი ორი პოლიციელი ადგილზევე დაიღუპა.

კასაბლანკაში, რომელიც მაროკოს საქმიან ცენტრად არის ცნობილი, საყოველთაო განგაში და მობილიზაციაა გამოცხადებული. ქალაქში მყოფი საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან, რომ კასაბლანკას მთავარი საავადმყოფო დაჭრილებით არის სავსე. მრავალმა მათგანმა მძიმე ხარისხის დამწვრობები მიიღო. ქალაქის ქუჩებში ხალხის მოძრაობა, ფაქტობრივად, შეწყვეტილია. მოსახლეობის დიდი ნაწილი სახლებშია ჩაკეტილი, რადგანაც ტერაქტების სერიის გაგრძელების ეშინიათ. თუმცა, ჯერჯერობით არავინ უწყის, კიდევ მოხდება თუ არა ტერაქტი კასაბლანკაში.

ჯერჯერობით, არცერთ ტერორისტულ დაჯგუფებას მომხდარზე პასუხისმგებლობა არ აუღია. მიუხედავად ამისა, მაროკოს ხელისუფლება აცხადებს, რომ აფეთქებების უკან ოსამა ბინ ლადენის ორგანიზაცია "ალ-ქაიდა" დგას. ყველა დარწმუნებულია, რომ კასაბლანკაში დატრიალებული ტრაგედია, საუდის არაბეთში მომხდარი ტერაქტის ლოგიკური გაგრძელებაა, თუმცა საეჭვოა, ტერორისტების მოქმედება ლოგიკას ექვემდებარებოდეს. როგორც ჩანს, ოსამა ბინ ლადენი თავის პიროობას "პირნათლად" ასრულებს და ყველგან შიშს თესავს.

პალესტინის ადმინისტრაციაში განხეთქილება დაიწყო

ლევან ღირსიაშვილი

გუშინ საღამოს ისრაელის პრემიერ-მინისტრის კანცელარიაში არიელ შარონსა და პალესტინის ადმინისტრაციის პრემიერ-მინისტრს მაჰმუდ აბასს შეხვედრა გაიმართა. შეთანხმება პოლიტიკური მოლაპარაკებების დაწყების თაობაზე გასულ კვირას იქნა მიღწეული, რასაც რეგიონში აშშ-ს სახელმწიფო მდივნის კოლინ პაუელის ვიზიტმა შეუწყო ხელი.

შეხვედრის დაწყებამდე ისრაელის პრემიერმა არიელ შარონმა თავისი კაბინეტის წევრებთან განიხილა ის ძირითადი საკითხები, რომლებიც პალესტინელ კოლეგასთან შეხვედრის დროს ისრაელის მხარემ უნდა დააყენოს. ისრაელის მთავრობის გადაწყვეტილებით, არიელ შარონმა მაჰმუდ აბასთან მოლაპარაკების პროცესში ძირითადი ყურადღება რეგიონში უსაფრთხოების ზომების გამკაცრებასა და ტერორისტული ორგანიზაციების ინფრასტრუქტურის დაუყოვნებლივ განადგურებაზე უნდა გაამახვილოს.

ისრაელის საინფორმაციო წყაროები, მაჰმუდ აბასის კაბინეტის წარმომადგენლებზე დაყრდნობით, იუწყებიან, რომ პალესტინური მხარე ორი პრემიერის შეხვედრის დროს დადებით შედეგის მიღწევას პესიმიზმით უყურებს. **"იმ მხარისგან, რომელიც პალესტინელი ხალხის წინააღმდეგ მოქმედებას ამჟამადაც განაგრძობს, რამე პოზიტიურის მოლოდინი გამორიცხულია",** - განაცხადა პალესტინის საკანონმდებლო ორგანოს სპიკერმა აჰმედ ქურეიმ. მას მხედველობაში ჰქონდა ორი დღის წინ ისრაელის არმიის ქვედანაყოფების მიერ დაწყებული ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია ღაზას სექტორის ჩრდილოეთ ნაწილში.

შეხვედრის დაწყებამდე, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პალესტინის პრემიერ-მინისტრი, არიელ შარონთან მოლაპარაკების დროს, აპირებდა, ისრაელის მხარისათვის სამშვიდობო გეგმის "საგზაო რუკის" რეალიზაციის დაუყოვნებლივ დაწყება მოეწოდებინა. როგორც ცნობლია, აღნიშნული სამშვიდობო გეგმა კონფლიქტის დარეგულირების მიზნით შექმნილმა ე.წ. "ოთხეულმა" (აშშ, რუსეთი, გაერო და ევროკავშირი) მიიღო. თუმცა, არიელ შარონი აპირებს, ამ თემის განხილვა თავიდან აიცილოს 20 მაისამდე, როდესაც ის ოფიციალური ვიზიტით ვაშინგტონს ეწვევა. ისრაელის პრემიერ-მინისტრს განზრახული აქვს, თეთრ სახლს სამშვიდობო გეგმაში შეტანილი 14 შესწორება წარუდგინოს. თუ რა შედეგით დასრულდება თელ-ავივში მაჰმუდ აბასსა და არიელ შარონს შორის გამართული მოლაპარაკება, ამის თაობაზე დღეს გახდება ცნობილი.

ამავდროულად, თავად პალესტინის მინისტრთა კაბინეტში განხეთქილება წარმოიშვა. კერძოდ, პალესტინის ავტონომიის მინისტრმა საებ ერექათმა, რომელსაც ისრაელთან მოლაპარაკებების წარმოება ჰქონდა დავალებული, მოულოდნელად თანამდებობის დატოვების შესახებ გააკეთა განცხადება. არსებული ინფორმაციის თანახმად, პალესტინის პრემიერ-მინისტრმა ერაქათს სთხოვა, ამ ნაბიჯის გადადგმა ერთი კვირით გადაედო. საებ ერექათს გადადგომის მიზეზი არ დაუსახელებია. თუმცა, დამკვირვებლების აზრით, მისი განაწყენება იმ ფაქტმა გამოიწვია, რომ ერექათი არიელ შარონთან გუშინდელი მოლაპარაკების დელეგაციაში არ ჩართეს.

როგორც ცნობილია, საებ ერექათი პალესტინის ადმინისტრაციის მეთაურის იასირ არაფატის ძველი თანამებრძოლია. ამდენად, სავარაუდოა, რომ მისი გადადგომით საბოლოოდ გაფორმდა განხეთქილება იასირ არაფატსა და პრემიერ-მინისტრ მაჰმუდ აბასს შორის. საებ ერექათი ბოლო ათი წლის განმავლობაში ისრაელ-პალესტინურ მოლაპარაკებებში ძირითად და წამყვან ფიგურას წარმოადგენდა. ერექათის პოსტიდან გადადგომა დაემთხვა ახლო აღმოსავლეთში ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის კოორდინატორის ჰავიერ სოლანას ვიზიტს, რომელიც ცდილობს, სამშვიდობო გეგმის "საგზაო რუკის" რეალიზებას მაქსიმალურად შეუწყოს ხელი. ჰავიერ სოლანამ უკვე გამართა შეხვედრები იასირ არაფატთან და მაჰმუდ აბასთან. ევროკავშირის წარმომადგენელს ისრაელის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებები, ჯერჯერობით, არ უწარმოებია. ისრაელის პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ჰავიერ სოლანასთან შეხვედრისათვის დრო არ აქვს.

ავტოკატასტროფა საფრანგეთში

კატასტროფის ადგილზე.

REUTERS

გუშინ დილით საფრანგეთის ქალაქ ლიონის მახლობლად ავტოკატასტროფა მოხდა. გერმანიიდან მომავალი ტურისტული ავტობუსი ავტოტრასიდან გადავიდა და გადაბრუნდა. ავტოკატასტროფის შედეგად, 28 მგზავრი დაიღუპა. როგორც გაირკვა, ავტობუსის მძღოლმა სიჩქარეს მოუმატა და მის წინ მიმავალი ავტომობილისათვის გადასწრებას შეეცადა. ტრასა კი ძლიერი წვიმისგან სველი იყო. მოსახვევში მძღოლმა ავტობუსი ვერ დაიმორჩილა და გადაბრუნდა. ექსპერტების მტკიცებით, სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ მძღოლმა საჭის დამორჩილება ვერ მოახერხა. ადგილობრივი ხელისუფლების ცნობით, ორმოცი ადამიანი მძიმედ არის დაშავებული, მათგან 24 კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება. სულ ავტობუსში 78 მგზავრი იმყოფებოდა.

ავტოკატასტროფა, ადგილობრივი დროით, დილის 5 საათზე მოხდა. ავტობუსი გერმანიაში, კომპანია "ტაიგერ რეიზენის" სახელზე იყო დარეგისტრირებული. საფრანგეთის ტურის შემდეგ ის ესპანეთში უნდა გამგზავრებულიყო.

შესაწყალებელ მეომარ პატიმართა სიები პრეზიდენტს გადაეცა

სახალხო დამცველ ნანა დევდარიანის, უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილის რუსუდან ბერიძისა და პარლამენტარ გიორგი ყარყარაშვილის მიერ შედგენილი, შესაწყალებელ მეომარ პატიმართა 250-კაციანი სია გუშინწინ, გვიან ღამით საქართველოს პრეზიდენტს ჩაბარდა.

პრეზიდენტმა პატიმრების შეწყალებას უახლოეს დღეებში უნდა მოაწეროს ხელი და იგი თითოეული მსჯავრდებულის გათავისუფლებასა თუ მისჯილი წლების შემცირებაზე ინდივიდუალურად მიიღებს გადაწყვეტილებას.

შესაწყალებელთა სიაში შეყვანილია მსჯავრდებულები, რომელთაც სასჯელის ნახევარი მოხდილი აქვთ. ასევე, გათვალისწინებულია ყველა სხვა შემამსუბუქებელი გარემოება, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, ოჯახური და ჯანმრთელობის მდგომარეობა და საპატიმრო ადგილის ადმინისტრაციის დახასიათება.

შეწყალება არ შეხებიათ პატიმრებს, რომლებმაც მკვლელობა ან სხვა სახის მძიმე დანაშაული ჩაიდინეს.

გარდა ამისა, გენერალურ პროკურატურაში შექმნილმა კომისიამ, რომელიც პატიმართა აქციის შემდეგ, საქმეთა გადასინჯვის მიზნით შეიქმნა, ქუთაისის საპატიმროდან ხუთი პატიმარი უკვე გაათავისუფლა.

პატიმრების საჩივრების შემსწავლელი სპეციალური კომისია, რომელსაც გენერალური პროკურორის მოადგილე ვენედი ბენიძე ხელმძღვანელობს, მუშაობას აგრძელებს და მან კიდევ რამდენიმე მომჩივანი პატიმრის განაჩენის შეცვლის თაობაზე სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა.

ყაჩაღური ჯგუფის წევრები დააკავეს

ორი დღის წინ, სამართალდამცველებმა ჩხოროწყუს რაიონში მოქმედი ბანდიტური დაჯგუფების წევრები დააკავეს. მათი ასაკი 25 წელს არ აღემატება, თუმცა, როგორც კანონდამცველები ირწმუნებიან, თანდათან იკვეთება, რომ დაკავებულებს თავდასხმა-ყაჩაღობების საკმაოდ დიდი გამოცდილება გააჩნიათ. ბესიკ პაპასკირი, ვეფხია ბარკალაია და მანუჩარ ლიპარტია დაკავების წინა დღეს ნიღბებით, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვილები ოთხ ოჯახს დაესხნენ თავს.

ჩხოროწყუს რაიონის პოლიციამ რამდენიმე დღის წინ ამავე რაიონის სასამართლოსგან ბესიკ პაპასკირისა და ვეფხია ბარკალაიას სახლის გაჩხრეკის სანქცია მიიღო. საქმე ის გახლავთ, რომ ისინი ერთი თვის წინ მიკროავტობუსზე მომხდარ ყაჩაღურ თავდასხმაში იყვნენ ეჭვმიტანილები. "მათ შესახებ გარკვეული ინფორმაცია გაგვაჩნდა, სასამართლოს დადგენილების შესაბამისად, ეჭვმიტანილთა ბინების ჩხრეკა ჩავატარეთ. პაპასკირის ოჯახში ვიპოვეთ ორი ავტომატური ცეცხლსასროლი ავტომატი მჭიდებითა და ვაზნებით. იქვე აღმოჩნდა ორი გადაჭრილი სანადირო თოფი და შავი ფერის ნაქსოვი ოთხი ნიღაბი", - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ჩხოროწყუს რაიონის პოლიციის უფროსმა დავით არონიამ. მისივე თქმით, პაპასკირის სახლის ჩხრეკისას პოლიციელებმა ოჯახში სტუმრად მყოფი მესამე ეჭვმიტანილი – მანუჩარ ლიპარტიაც იპოვეს. სხვათა შორის, როგორც ამბობენ, ბესიკ პაპასკირი კრასნოდარის ციხეში დაბადებულა, სადაც მისი მშობლები იხდიდნენ სასჯელს.

"მიუხედავად იმისა, რომ მანუჩარ ბარკალაიას ოჯახის ჩხრეკისას იქ საეჭვო ვერაფერი აღმოვაჩინეთ, ის მაინც დავაკავეთ, რადგან მისი დანაშაულებრივი სამხილები საკმაოდ გვქონდა", - აცხადებს დავით არონია.

ეჭვმიტანილთა დაკავებისას გაირკვა, რომ ისინი წინა დღეს ჩხოროწყუს რაიონის ერთ-ერთ სოფელში ზედიზედ ოთხ ოჯახს დაესხნენ თავს. ოჯახის წევრებს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს და საოჯახო ნივთები გაიტაცეს. ჩვენი ინფორმაციით, ერთ-ერთი დაზარალებული ოჯახის დიასახლისი, რომელსაც თავდამსხმელები სასტიკად გაუსწორდნენ, სერიოზული დაზიანებების გამო, საავადმყოფოში მკურნალობს. უკვე დაკითხულები არიან დაყაჩაღებული ოჯახების წევრები. პაპასკირი და ლიპარტია ჩადენილ ყველა დანაშაულს აღიარებენ, ბარკალაია კი დუმილის უფლებით სარგებლობს.

ერთი სიტყვით, ადრინდელი ყაჩაღური თავდასხმის ბრალდებით დაკავებულებს, ახლად ჩადენილი ყაჩაღობები სამართალდამცველებმა ცხელ კვალზე გაუხსნეს. ყაჩაღური ჯგუფის წევრებს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა სასამართლომ გუშინ შეუფარდა.

"24 საათი"

ბიზნესმენი პროკურატურას ჩვენებას არ აძლევს

ბექა სისაური
ქუთაისი

გუშინწინ, საღამოს ექვსი საათისთვის ქუთაისში, საღორიის ტყის მიმდებარე ტერიტორიიდან, საეჭვო ვითარებაში გაუჩინარდა ახალგაზრდა ბიზნესმენი გიგა ჩხეიძე.

დაუზუსტებელი ინფორმაციით, გიგა ჩხეიძე ბაღდათიდან ქუთაისისკენ მიდიოდა, როდესაც საღორიის ტყის მიმდებარე ტერიტორიაზე, ავტობუსების გაჩერებასთან, მას რამდენიმე ნიღბიანი პიროვნება წინ გადაუდგა და მათ მანქანიდან გადასვლა მოსთხოვა, ჩხეიძეს თან ფეხმძიმე მეუღლე და ოჯახის სხვა წევრები ახლდნენ.

ამ ინციდენტის შემდეგ გიგა ჩხეიძე უგზოუკვლოდ დაიკარგა. ვარაუდობენ, რომ იგი ფულის გამოძალვის მიზნით გაიტაცეს. გატაცების დღეს პოლიციელები აღნიშნულ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფდნენ და აცხადებდნენ, რომ აღნიშნულის თაობაზე ჩვენთვის არავის მოუმართავსო. ჩხეიძის გატაცების ფაქტს კატეგორიულად უარყოფდნენ მისი ოჯახის წევრებიც, რომლებიც ჟურნალისტებთან კონტაქტზე არ გამოდიოდნენ. გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ გამტაცებლებმა ბიზნესმენის გათავისუფლების საზღაურად სოლიდური თანხა მოითხოვეს, რომელიც ჩხეიძის ახლობლებს გალში, ქართველთა მიერ კონტროლირებად სოფელში უნდა ჩაეტანათ.

19 წლის გიგა ჩხეიძე საწავავის ბიზნესშია დასაქმებული, მის ნაწილობრივ საკუთრებაში იმყოფება ერთ-ერთი ნავთობბაზა, რომლის გაყიდვასაც, გავრცელებული ინფორმაციით, იგი, თურმე, ორ მილიონ დოლარად აპირებდა. ასევე, გიგა ჩხეიძე ქუთაისში არსებული სუპერმარკეტის მეპატრონეცაა.

ყველასთვის მოულოდნელად, გუშინწინ გატაცებული ბიზნესმენი გუშინ დილით სახლში დაბრუნდა. მომხდარ ინციდენტს ოჯახის წევრები ასაიდუმლოებენ და გატაცების ფაქტსაც კატეგორიულად უარყოფენ.

გიგა ჩხეიძის მამამ სამართალდამცველებთან საუბრისას განაცხადა, რომ გიგა მას საქმეზე ჰყავდა გაგზავნილი. **"ამჟამად ჩხეიძეების ოჯახში თანამშრომლები მყავს გაგზავნილი და მათი ახსნა-განმარტების შემდეგ შემიძლია თქმა, რა მოხდა. თუკი ან გიგა და ან მისი ოჯახის წევრები განაცხადებენ, რომ გატაცება მოხდა, მე ვადების დაწესება არ დამჭირდება, ისე გავხსნი ამ საქმეს. მაგრამ, თუ აღნიშნულ ფაქტს უარყოფენ, მაშინ საძიებელი არაფერი იქნება,"** - აცხადებს სამხარეო პოლიციის უფროსი ზაზა ძნელაძე.

იმერეთის რეგიონის სამხარეო პროკურორის სოსო ჭუმბურიძის განცხადებით კი, **"მომხდარი ფაქტის შესახებ ქუთაისის პროკურატურაში შეტყობინება პოლიციიდან შევიდა და ადამიანის თავისუფლების უკანონო აღკვეთის მუხლით, სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. თუმცა, გიგა ჩხეიძის ოჯახის წევრები თავიდანვე უარყოფდნენ გატაცების ფაქტს და სამართალდამცველებთან კონტაქტზე უარს აცხადებენ. სახლში დაბრუნების შემდეგ არც თავად გიგა ჩხეიძემ მისცა პროკურატურას ჩვენება."**

პოლიციელები ჩაქოლვას ძლივს გადაურჩნენ

"გარე მოვაჭრეებმა იმდენი ქნეს, რომ მძარცველი გააპარეს"

გუშინ დიდი ხმაური და განევ-გამოწევა იყო ვაგზლის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე. პოლიციელებსა და გარე მოვაჭრეებს შორის მომხდარ ხელჩართულ ბრძოლას სროლაც მოჰყვა.

გარე მოვაჭრეები ირწმუნებოდნენ, რომ პოლიციელები გამვლელ ახალგაზრდას დაესხნენ თავს და მისი დაკავება სცადეს. "უცებ მისცივდნენ და ცემა დაუწყეს, ვერ გავიგეთ, რა უნდოდათ მისგან. და ყველაფერი გავაკეთეთ იმისათვის, რომ იმ ბიჭისთვის თავი დაენებებინათ. ამ ყველაფერს პოლიციელების მხრიდან სროლა მოჰყვა", - აცხადებენ მომხდარ ინციდენტში მონაწილე გარე მოვაჭრეები და პოლიციელებს ძალადობასა და სისასტიკეში სდებენ ბრალს. თუმცა, რა და როგორ მოხდა, დეტალებში არ ჰყვებიან.

იმას, რომ რამდენჯერმე გასროლას მართლაც ჰქონდა ადგილი, დიდუბე-ჩიღურეთის კრიმინალური პოლიციის ხელმძღვანელობა არ უარყოფს. "ოპერატიულ მუშაკებს, რომლებსაც ძარცვაში ეჭვმიტანილი უნდა დაეკავებინათ, ხალხის ბრბო დაესხა თავს. გარე მოვაჭრეებს, რომლებმაც პოლიციელების ჩაქოლვაც კი მოინდომეს, აზრადაც არ მოსვლიათ, გაერკვიათ, რა ხდებოდა და რატომ აკავებდნენ იმ ახალგაზრდას. ხალხის ალყაში მოქცეულმა ოპერმუშაკებმა, რომლებსაც გამეტებით ურტყამდნენ, ჰაერში გაისროლეს, რომ სიტუაცია დაწყნარებულიყო. შემდეგ კი მხოლოდ ის მოახერხეს, რომ იქვე მდგომ მანქანაში ჩამსხდარიყვნენ და ჩაკეტილიყვნენ, რათა ცოცხლები გადარჩენილიყვნენ. ამასობაში, მათ დასახმარებლად განყოფილებიდან 12-კაციანი ჯგუფი გაემგზავრა და ცოტა ხანში ყველაფერი დაწყნარდა", - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას დიდუბე-ჩიღურეთის კრიმინალური პოლიციის უფროსის მოადგილემ დავით ქაცარავამ. მისი განმარტებით, მომხდარი გაურკვევლობა და განევ-გამოწევა წინა დღეს მომხდარმა ძარცვის ფაქტმა გამოიწვია. "გუშინ ჩვენთან მოვიდა დაზარალებული ქალბატონი ნანა მდინარაძე, რომელიც გაძარცვეს. სისხლის სამართლის საქმე ძარცვის მუხლით გუშინვე აღიძრა. დაზარალებულმა განგვიცხადა, რომ არ გაუჭირდებოდა მძარცველის ამოცნობა, რადგან მისი სახე კარგად ახსოვდა. ორი ოპერმუშაკი, გაძარცულ ქალბატონთან ერთად, იმავე ტერიტორიაზე გავიდა. რამდენიმე საათის განმავლობაში დაზარალებული გამვლელ-გამომვლელს ათვალიერებდა და უცებ მძარცველი ამოიცნო. მძარცველმა ოპერმუშაკებს წინააღმდეგობა გაუწია. სწორედ ამას მოჰყვა გარე მოვაჭრეთა პანიკა და თავდასხმა პოლიციის მუშაკებზე. გარე მოვაჭრეებმა იმდენი ქნეს, რომ მძარცველი გააპარეს", - ამბობს დავით ქაცარავა და მომხდარს პოლიციის წინააღმდეგ შეგნებულად აგორებულ კამპანიას უწოდებს.

"24 საათი"

პრეზიდენტი საქართველოს წამებისგან თავისუფალ ზონად აცხადებს

ადამიანის უფლებების დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციები, საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არსებული მდგომარეობის გამო, კვლავ უკმაყოფილებას გამოთქვამენ.

მათ მიერ გაკეთებულ ტრადიციულ მიმოხილვაში, რომელიც 2002 წლის მანძილზე საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობას ეხება, ნათქვამია, რომ ქვეყანამ საკუთარ გეოსტრატეგიულ მიმართულებებსა და დასავლური ორიენტირების გამოკვეთას რეფორმებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხში წინსვლის ტემპი ვერ შეუსაბამა.

ანგარიშში ყურადღება, ძირითადად, გამახვილებულია პოლიციის განყოფილებებში ადამიანების წამებისა და ადამიანის უფლებების უხეში დარღვევის ფაქტებზე. ამასთან, შეშფოთებაა გამოთქმული იმის გამო, რომ საქართველოს ხელისუფლება მსგავსი შემთხვევების აღმოსაფხვრელად, ფაქტობრივად, არაფერს აკეთებს.

ომბუდსმენის ოფისში, გაერო-ს ეგიდით, ქართველი პოლიციელებისთვის, პროკურორებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის მოწყობილი სემინარი საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის პრობლემებს მიეძღვნა.

უფრო ზუსტად, სემინარზე საერთაშორისო ორგანიზაციების საპასუხოდ საქართველოს პრეზიდენტის მიერ "საქართველოს წამებისგან თავისუფალ ზონად გამოცხადების" თაობაზე გამოცემული ბრძანებულება განიხილეს. 2-დღიან სემინარზე შემუშავდება რეკომენდაციები, რომლებიც კანონმდებლობაში ცვლილებების შესატანად პარლამენტს წარედგინება.

ალპებზე მფრინავი მოცეკვავეები, შატილის ასული და მათი ხელმძღვანელი

პირველი გვერდიდან

სხვა გახმოვანება და სხვა განათება გვქონდეს, ისე ვართ ამაზე აწყობილი. ყველას სათითაოდ თავისი მიკროფონი აქვს დამაგრებული და მთელი სამსახური ახლავს თან ამ შოუს. სამწუხაროა თუ საბედნიერო ასეა და რა ვქნა.

არანაირი ვარიანტი არ არსებობს ქართული მუსიკა ან ცეკვა გადავაკეთოთ. ყველას ვურჩევ მაგ ცუდ საქმეს ნუ აკეთებენ. ქართულ სიმღერას ნუ გადააკეთებ-გადმოაკეთებენ. ქართულს, ტრადიციულს, რომელიც ათასწლეულებს ითვლის და აქამდე მოგვიტანა ჩვენმა მამა-პაპამ ხელი არ უნდა ვახლოთ. გინდა სიმღერა იყოს, გინდა ცეკვა. თუ რაიმეს გაკეთება გინდა, კი გენაცვალე აიღე თემა და გაშალე, საინტერესო არაფერია თუ რა? მაგრამ ის, რომ გამოიყენო, რაც უკვე მარტო შენ კი არ გეკუთვნის, საერთო-სახალხოა, უკვე დანაშაულია; ქართული სიმღერა და ცეკვა არის ზოგადსაკაცობრიო ღირებულება. ქართული სიმღერა მსოფლიო მუსიკალური აზროვნების შედევრია. იაფფასიან ტრიუკებს თავი დაანებონ და ნიჭიერად გააკეთონ რამე".

ბატონი ჯემალი გარდა თავისი შემოქმედებისა და ანსამბლისა, თავისი ტრადიციული ოჯახითაც ამაყობს და ხუმრობით ამბობს ორი შვილი და ერთი ქალიშვილი მყავსო. მისი თქმით - თუ მამულიშვილი ხარ, პირველ რიგში გამართული ოჯახი უნდა გქონდეს. ჯემალ ჭკუასელი შვიდი შვილიშვილითაც ამაყობს. რომელთაგან ერთი გოგონა ცეკვავს, ხოლო სამ დოლზე დამკვრელი ვირტუოზი ყმაწვილი მისი შვილიშვილი ნიკაა. გარდა ამისა, ვაჟი - შერმანდი ანსამბლ "ერისიონის" მთავარი დირიჟორია, ხოლო ქალიშვილი ეკა, წამყვანი მოცეკვავე. მეუღლე და ცხოვრების ერთგული თანამგზავრი ბატონი ჯემალის ყმაწვილკაცობის სიყვარული გიული ჭულუხაძე გახლავთ.

ასე აღნიშნავენ ჭკუასელის 60-წლის იუბილეს.

ბესო ბელაშვილის ფოტო

ოჯახის გარდა, ჯემალ ჭკუასელის ცხოვრებაში უმთავრესი ადგილი მისი წარმოშობის ადგილს – გურიას უჭირავს – "ქვეყნიერებას, მსოფლიო საოცრებებს, ნიაგარას ჩანჩქერს, ეგვიპტის პირამიდებს, სემირამიდას ბაღებს, თუ გნებავთ, ჩარლის შემოქმედებას - ცრემლივით სუფთა მდინარე ბჟუჟის წყლის ჭალებიდან, ჩემი წინაპრების ეზოდან, XII საუკუნის შემოქმედის მონასტრის თვალსაწიერიდან გავცქერი. იმ ძეგლიდან, რომელიც ულამაზესი მთის წვერზე დგას და საიდანაც გურიის წარმტაცი სანახებია გაშლილი".

ვერც გურულების მოსწრებულ იუმორს ავუვლით გვერდს. ერთხელ გურიაში ჩასული ჯემალ ჭკუასელისთვის მეზობელს უთქვამს – "აგი ჩვენი ჯემალია მღერის თორემ, აბა გვითხრას სად მუშაობსო?"

მართლაც, ნეტავ სად მუშაობს ჯემალ ჭკუასელი?

მუზეუმის დღე შუხაევის ფონზე



პატარა მნახველი შუხაევის ავტოპორტრეტთან.

ბესო ბელაშვილის ფოტო

ნინო ჭანიშვილი

18 მაისი, მუზეუმების საერთაშორისო დღე 150-ზე მეტ ქვეყანაში აღინიშნება. ამ დღის დაწესების ინიციატივით 1977 წელს საბჭოთა კავშირი გამოვიდა მუზეუმთა საერთაშორისო საბჭოს (ICOM) 11-ე გენერალურ კონფერენციაზე მოსკოვში. 1978 წლიდან "იკომი" მუზეუმებთან დაკავშირებულ სხვადასხვა თემას იხილავს, წლევანდელი თემაა "მუზეუმები და მეგობრები".

ისე კი პირველი ადამიანი ვინც მუზეუმის განსაკუთრებული როლი განსაზღვრა იყო ფრანგი მხატვარი ჟაკ ლუი დავიდი, მან კონვენტის წევრებს განუცხადა, რომ მუზეუმი არა უსარგებლო ფუფუნების საგნების გროვაა, არამედ ის ადგილია სადაც თაობები აღიზრდებიან.

18 მაისს ყველა ქვეყანა თავისებურად აღნიშნავს, მაგალითად, რუსეთში, სადაც 3 ათასზე მეტი მუზეუმია ამ დღეს ყველა მუზეუმში შესვლა უფასოა. წელს ამ თარიღს თბილისიც გამოეხმაურა, სესილი გოგიბერიძემ არ დაიზარა და მილოცვები გაუგზავნა ყველა იმ მუზეუმს, რომელიც კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაშია.

ხელოვნების მუზეუმში ამ თარიღთან დაკავშირებით კი საინტერესო გამოფენა გაიხსნა. მუზეუმში ფერმწერისა და გრაფიკოსის ვასილ შუხაევის 20-ზე მეტი ნამუშევარი გამოფინეს. მან ცხოვრების დიდი ნაწილი თბილისში გაატარა და 1973 წელს გარდაიცვალა.

ვასილ შუხაევმა 1906 წელს სტროგანოვის სამხატვრო-საწარმოო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ პეტერბურგის სამხატვრო აკადემიში ჩააბარა. იგი კლასიკური ხელოვნების მოტრფიალე იყო და თავის ნამუშევრებში ძველ ოსტატთა ხელოვნების აღდგენას ცდილობდა. იგი მუშაობდა სანგინით, ტემპერასა და ენკაუსტიკის ტექნიკაში. მონაწილეობდა მხატვრული გაერთიანების "მირ ისკუსტვას" გამოფენებში. 1921 წლიდან პარიზში ცხოვრობს, სადაც თავის ფერწერისა და გრაფიკის სტუდიას აარსებს. პარიზში იგი როგორც წიგნის ილუსტრატორი, კარიკატურისტი და კინოს მხატვარი მუშაობს. 1935 წელს ვასილ შუხაევი საბჭოთა კავშირში ბრუნდება და ცდილობს ნეოკლასიკის ესთეტიკა სოცრეალიზის ენაზე გადაიტანოს. მაგრამ იგი ისევე როგორც ბევრი ემიგრანტი მხატვარი 1937 წელს დააპატიმრეს. "ჯაშუშობაში ეჭვმიტანილი" შუხაევი 10 წლით მაგადანში გადაასახლეს. გადასახლებიდან დაბრუნებულს დიდ ქალაქებში მოსკოვსა და პეტერბურგში ცხოვრების უფლება არ მისცეს და 1947 წელს თბილისში ჩამოდის. თბილისში მას ქართველი მხატვრები ეხმარებიან და სამხატვრო აკადემიაში იწყებს მუშაობას. მისი პოლიტიკური რეაბილიტაცია 1954 წელს მოხდა, როცა მისი პერსონალური გამოფენა გაიხსნა.

გუშინდელ გამოფენას ბევრი მისი ყოფილი სტუდენტი დაესწრო, მათ შორის იყო მოქანდაკე ლამარა ქველიძეც, რომლის შუხაევის მიერ შექმნილი პორტრეტი გამოფენაზეც იყო წარმოდგენილი.

დღეს ხელოვნების მუზეუმში ჩატარდება მუზეუმების პრობლემებთან დაკავშირებული კონფერენცია, ხოლო მცხეთაში აღდგენილი მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალი გაიხსნება.

როკი პავილიონში

საგაზაფხულო ფესტივალის ძველი და ახალი მერცხლები

ვერა ნეფარიძე

ერთდღიან ფესტივალებს კარგა ხანია შეგვაჩვიეს. ამიტომაც გუშინდელ ფესტივალს, რომელიც ძველი კინოსტუდიის პავილიონში რვა საათი გრძელდებოდა, საზოგადოების დიდი უკმაყოფილება არ გამოუწვევია. ისე რომ ვთქვათ, სამდურავიც რა ჰქონდათ – მთელი დღის განმავლობაში ხმაურიანი მუსიკის მოყვარულებმა ოცამდე კავკასიურ როკ-ჯგუფს მოუსმინეს. თუმცა, სცენიდან ისეთი კაკაფონია მოდიოდა, სადავოა, რამდენად შეიძლება ამ ყველაფერს მოსმენა ვუწოდოთ.

ფესტივალს განსაკუთრებული რაოდენობის აუდიტორია არ ჰყოლია, მაგრამ ვერც იმას ვიტყვი, რომ წლევანდელმა "მერცხლებმა" საზოგადოების ყურადღება ვერ მიიპყრო. გუშინდელ კონცერტს ერთი პლიუსი, უდავოდ, ჰქონდა – მსმენელმა იცოდა, მისთვის საინტერესო ჯგუფი, სავარაუდოდ, რა დროს გამოდიოდა და ამიტომაც, პავილიონში დღის განმავლობაში სცენაზე გამოსული ჯგუფის მიხედვით იცვლებოდა აუდიტორია. თუმცა, რასაკვირველია იყვნენ კონცერტის ფუნდამენტური მსენელებიც. არ ვიცი, ასე ძალიან მათ რა მოენატრათ – ხმაური, თავისუფლება თუ, უბრალოდ, იმედი ჰქონდათ, რომ მოისმენდნენ იმის ალტერნატივას, რაც ასე ხშირად იმართება თბილისის საკონცერტო დარბაზებში. თუ ეს ასეა, მინდა აღვნიშნო, რომ ამ ახალგაზრდებს იმედი არ გაუცრუვდებოდათ, რადგანაც გუშინდელ კონცერტზე ხმაურიც იყო, შეუზღუდავი სივრცეც თავისუფალი ყოფაქცევისთვის და განსხვავებული მუსიკაც.

ფესტივალის ორგანიზატორების აღმოჩენა ლილოდან - "მონოპლანი".

ფოტო ნინოსაქანელიძის ფოტო

სამწუხაროა, რომ მრავალწლიანი გამოცდილების მიუხედავად, მუსიკალურ ფესტივალებზე მუსიკის მოსმენა თითქმის შეუძლებელია. ისე, კაცმა რომ თქვას, ზოგიერთ შემთხვევაში, მსმენელისთვის იქნებ ასეც სჯობდეს. და ეს ყველაფერი იმდენად შესამჩნევია, რომ შეიძლება სცენიდან უზომოდ მთვრალმა ჯგუფის ლიდერმაც ბოდიში მოუხადოს მსმენელს ამ ხარვეზის გამო. მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, მსგავს ღონისძიებებს მაინც არ აკლია გამომსვლელები. რას ვიზამთ, ჩვენთან ცოცხალი მუსიკის კონცერტის გამართვა ისევ გადაულახავ პრობლემად რჩება, არადა მუსიკალური კოლექტივები უამრავია, იმდენი, რომ თუ მოინდომებთ ყოველი მესამე სარდაფიდან (გნებავთ, ავტოფარეხიდან) გიტარის ჟღარუნს გაიგონებთ.

ლადო ბურდულის ორგანიზებული ფესტივალი წელს ბევრი ახალი ჯგუფის მონაწილეობით გამოირჩეოდა. ამ კატეგორიაში ვერანაირად მოხვდება ჯგუფი, რომელსაც ფესტივალის გახსნა მიანდეს. "მემენტო მორი" იმდენად ძველი როკ-ჯგუფია და ისე დიდი ხანი არ გამოსულა სცენაზე, რომ თავიდან ისიც გავიფიქრე, იგივე სახელწოდებით რამე ახალი ჯგუფი ხომ არ შექმნეს-მეთქი. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ეს სწორედ ის "მემენტო მორი" იყო. ჯგუფი დღესაც არ ღალატობს საკუთარ გეზს და კვლავ ხმაურიან, მძიმე მუსიკას უკრავს. ისე, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ეს კომპონენტები (დამძიმებული ჟღერადობა და ხმაური) თითქმის არცერთ გამომსვლელს არ აკლდა. თბილისელი ჰარდროკის ვეტერანების შემდეგ სიტუაცია თითქმის შეამსუბუქა, ორგანიზატორის, ლადო ბურდულის მიერ ფესტივალის აღმოჩენად წოდებულმა "მონოპლანმა". მაგრამ ამ სიმსუბუქეს თანამედროვე რუსული ფსევდო-როკის ასოციაციები მოჰქონდა. თუ ამ ჯგუფის მაგალითზე ვიმსჯელებთ, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ლადო ბურდულის ფესტივალს წინა წლებში უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩენები ჰყავდა. რას ვიზამთ, ასეა, რა უნდა აღმოაჩინო, როდესაც არაფერია აღმოსაჩენი? ამიტომაც, თავად მსმენელს ძველი და მისთვის კარგად ნაცნობი ჯგუფების გამოჩენა უფრო უხაროდა. მაგალითად; ისეთის, როგორიცაა, ახალგაზრდებში საკმაოდ პოპულარული Y. მათთვის, როგორც ჩანს ძალიან მოდურია ჯგუფის ექსცენტრული ვოკალის იმიჯი – სცენაზე კოტრიალი, თითქმის ჩამძვრალი შარვლით გამოსვლა და სხვადასხვა ტიპის შეძახილები. მაგალითად, ასეთის: იცით ვინმემ Talking Heads? კაი, რახან ერთმა მაინც იცის, მაშინ წავიდა....

ასე გრძელდებოდა ძველი კინოსტუდიის პავილიონში ღამის თორმეტ საათამდე. ტემპს არ აგდებდნენ არც ერევნელი "ბამბირ-2"-ის, ბაქოელი "პ.ჯ.&ლარჯ უზეთ პროჯექტ"-ის, ქუთაისელი "ბესტ ჰისთორისა" და თბილისელი "ეფემერას" მუსიკოსები. "აუტსაიდერზე" რაღა უნდა ვთქვა, მათ უკვე მოიხვეჭეს ქართული პანკროკის (ეს სახელწოდება, რასაკვირველია, პირობითია) ლიდერების წოდება. ალტერნატიული მუსიკის მოყვარულები მუსიკოსის ამპლუაში გამოჩენით გაახარა ფესტივალის ორგანიზატორმა ლადო ბურდულმაც. მისი ძმა ბაკური კი შედარებით მელოდიური როკის თაყვანისმცემლებს ნამდვილ მხსნელად გამოუჩნდათ. ასე დასრულდა ფესტივალის საგაზაფხულო რაუნდი. როგორც ორგანიზატორები გვპირდებიან, შემოდგომაზე საფესტივალო განწყობა უფრო ამაღლებული უნდა იყოს.

არაჩვეულებრივი გამოფენა

შევარდნაძე არბატის ბაზრობაზე გურიჩას ვერსიით.

ბესო ბელაშვილის ფოტო

ნათია ვადაჭკორია

ელდარ შენგელაიას ფილმი და მისი პერსონაჟის - აგულის გამოფენა არ გეგონოთ, გალერეა "ჰობი"-ში გურიჩას ერთდღიანი გამოფენა გაიხსნა. ამ გამოფენას, მართლაც, არაჩვეულებრივი შეიძლება ეწოდოს, რადგან მსგავსი სახუმარო კომპიუტერულ-ფოტოკოლაჟების ნახვას სხვაგან ვერ შეძლებთ. ხსენებულმა ფოტოებმა პირველად იხილა მზის სინათლე მასშტაბური რაოდენობით – 70 ნამუშევარი. წარმოიდგინეთ ედუარდ შევარდნაძე ინგლისის დედოფლის, თოვლის ბაბუას, მონა ლიზას, ჩეჩენი ტერორისტის, აქტრისა მარგარიტას, ალა პუგაჩოვას როლებში. გარდა ამისა, ხელში აყვანილი ავთანდილ ჯორბენაძე, როინ მტარვალი (როინ მეტრეველი), "ჟვანესა" (ზურაბ ჟვანია), "ზიტა და გიტა", კოლიამ ლექსპირი (კოტე ყუბანეიშვილი), რომელიც მსგავსი სტრიქონების ავტორია – **"ჯულიეტას აუშარდა რომეო: ბუჩქის უკან გამომყე და მომეო"**... ასევე დატკბებით ფოტო-პაროდიებით ილუზიონისტ ზურაბ ვადაჭკორიაზე, მამუკა ონაშვილზე, ნატა ამაღლობალზე სერგი გვარჯალაძეზე და სხვა ნაცნობ პიროვნებებზე, ძირითადად კი, გურიჩას მაინც პოლიტიკოსები ამოუღია მიზანში, მათ შორის ნინო ბურჯანაძე და ელენე თევდორაძეც არიან. თუმცა, პერსონაჟების რეაქცია ფოტოების ხილვისას ჩვენთვის უცნობია, მაგრამ არა მგონია გაღიზიანდნენ და გაბრაზდნენ. ეს ხომ, უბრალოდ, ხუმრობაა, რომლის ადეკვატური რეაქცია ღიმილია და გახალისება.

კომპიუტერულ ფოტოხელოვან გურიჩას საკუთარი ლოგოც აქვს და საკუთარ თავზე მოგვითხრობს: **" მე ვარ გურიჩა, სახელი და გვარი არ არის საჭირო, ქართველი ახალგაზრდა, იურიდიულის სტუდენტი. ჩემი ჰობი, გალერეის სახელსაც შეესატყვისება. გამოფენაზე წარმოდგენილი კომიკური ფოტოკოლაჟები, ბოლო ექვსი თვის ნამუშევარია, რომელთაგან თითოეული 5-10 წუთის განმავლობაში იქმნება. ავიღებ რამე ფოტოს, შემდეგ ვფიქრობ რომელი პერსონა მოერგება, მთავარია სიუჟეტი და სახის გამომეტყველება ერთმანეთს შეესაბამებოდეს. სიუჟეტს იმგვარად ვაგებ, რომ ფოტო ორიგინალური გამოვიდეს, ისეთი კუთხით იყოს დანახული, რომელშიც ამ ადამიანებს ვერასოდეს ვერ ნახავ. მაგალითად, ვინ ნახავს ჯორბენაძეს პამპერსში? რაც მთავარია, ამაში არ არის არანაირი აგრესია. მინდა, რომ "მსხვერპლებმა" სიამოვნება მიიღონ და იხალისონ. გაიარეთ რუსთაველის გამზირზე, ყველას სახე ჩამოსტირის დაღვრემილია, იქნებ ცოტა გავხალისდეთ".**

მართლაც, ერთდღიანი ხალისი თუ გინდათ, გალერეა "ჰობის" ეწვიეთ.

„ხალხის პირისპირ" - ეს არის ბელეტრისტიკური, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მონეული კონკურსანტს.

ხალხის პირისპირ

შეაესეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ. შეკითხვების მიღება უფასო. (გთხოვთ, გაუცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს).

შეკითხვები არ მიიღება გაზეთის ძველრიალით

შეკითხვის ტექსტი:	პასუხის ტექსტი:
1	
2	
3	
4	
5	

სახელი და გვარი:

ბინის მისამართი:

საქმიანერის ტელეფონის ნომერი:

ბინის ტელეფონის ნომერი:

მობილური ტელეფონის ნომერი:

წესები კითხვის შედგენისთვის:

კითხვა გადაეგზავნოს "ხალხის პირისპირ" მიღება მხოლოდ ხელით მოტანილი ბლანკი. შევსებული ბლანკი გამოგზავნილი ფოსტით მისამართზე სამაგალითო კონკურსი "რუსთავი 2", ტელეფონი "ხალხის პირისპირ", ვაჟიანელის 45, 380077 თბილისი, ან მოიტანეთ ასევე მისამართზე და ჩაიგდეთ პირადად სარეგისტრაციო ადგილზე მოთავსებულ სპეციალურ ყუთში.

სამაგალითო კონკურსი "რუსთავი 2" უფლებას იტოვებს, გადაიტანოს ინტერესებიდან გამომდინარე, ეფექტურები შეტანის ან არ გამოგზავნის ფაქტი შეკითხვა. "რუსთავი 2" არ ინის ვალდებული, გაანალიზოს - გამოგზავნილი თუ არა ფაქტს მიერ მოწოდებული შეკითხვის.

ბლანკის შევსების უფლება აქვს ყველა სრულწლოვანს.

ამ ბლანკში შეტანილი ინფორმაციის ნებისმიერი ნაწილი, შეტანილი შეკითხვა, შეტანილი ფოტო და გამოგზავნილი კითხვა სრულმოცულობით.

თუ ეთანხმებით ჩვენს წესებს, გთხოვთ, ხელი მოაწეროთ ბლანკს და მიუთითოთ შევსების თარიღი.

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

ქართულ ლიგაში გაწევრიანების მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონებზე: 91-07-23; 91-07-45; ან მობრძანდეთ შემდეგ მისამართზე: წერეთლის გამზირი 118 (ყოფილი "კოსმოსი"-ს შენობა) ყოველდღე 9⁰⁰-დან 20⁰⁰-მდე.
"ქართული ლიგა" (საქართველოს ომის ვეტერანთა სამოქალაქო კავშირი)

ბინები

იყიდება

იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4; 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხეთ ლია.

იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ. N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.

იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50

იყიდება ან ქირავდება 5-ოთახიანი ბინა მაღალ ბელეტაჟზე კეკელიძის №25-ში. ბინის საერთო ფართი 160 კვ.მ. ავტონომიური გათბობის სისტემით, ბარით, სარდაფით და ავტოფარეხით. გაქირავების ფასი 380 $, გაყიდვის ფასი 50 000 $. 23 40 68, 8(93) 32 32 74

განვადებით შევიძენ 2 ან 3 ოთახიან ბინას 3 000 დოლარის წინასწარ გადახდით. ტელ: 77-73-54, 77-75-73 კახა.

იყიდება 3-ოთახიანი აგარაკი წყნეთში ყველა საჭირო პირობებით. ეზო 350 კვ.მ. ფასი 25 000 $. 22 55 29

იყიდება 2-სართულიანი ახალშენებული სახლი მანსარდით. ეზო 120 კვ.მ. სახლი 180 კვ.მ. ისანი, ნალენჯიხის ქ. 19. 77 36 79

იყიდება 1500 კვ.მ. ხეხილიანი სააგარაკე მიწის ნაკვეთი. შემოღობილი. არის სარწყავი წყალი, დენი, კარგი გზა, სახლის ფუნდამენტი. თბილისიდან 20 კმ-ში გომბორის გადასახვევამდე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23-11-38

იყიდება!
სასწრაფოდ, ოროთახიანი (გადაკეთებული 4-ად) არასტანდარტული მაღალჭერიანი (3.10მ) კუთხის ბინა 9(9) საბურთალოზე, ს. ზაქარიაძის ქუჩაზე (მ. "გოცირიძე"). საერთო ფართი135 კვ.მ. 3 აივნით, 2 ტუალეტით, 2 სათავსოთი, სარდაფით, ტელეფონით, ბ/ა. ფასი შეთანხმებით.
ტელ: 39-53-41 69-94-27 ბელა.

იყიდება 3-ოთახიანი არასტანდარტული, მაღალჭერიანი კუთხის ბინა ბუნებრივი აირით, გოგირდის წყლით, რკინის კარით, მუხის პარკეტით, ორმხრივი მიშენების პერსპექტივით, კეთილმოწყობილი სარდაფით, ავტომობილის გასაჩერებელი ადგილით "რუსთავი 2"- ის უკან. ფასი: 30 000$. ტელ: 39-30-54.

იყიდება დოლიძის ქუჩაზე 5-ოთახიანი ნათელი ბინა 2(8) დარჩენილია კოსმეტიკური სამუშაო, ორი აივნით, დიდი სათავსით, მანქანის სადგომით. ფასი: 32 000$. ტელ: 23-11-38

იყიდება ოროთახიანი ბინა ვარციხის ქუჩაზე, ვორონცოვის მოედანთან. ზალა 31 კვ.მ. საძინებელი 14 კვ.მ. სამზარეულო 8 კვ.მ. სარდაფი 28 კვ.მ. ფასი 8000$. 52 24 40 ნინო

იყიდება კეთილმოწყობილი საკუთარი სახლი ბაღით ბაგებში. ფასი 30 000. 23 59 18

იყიდება 28 000-ად ან იცვლება 4-ოთახიანი, საერთო ფართი 100 კვ.მ.-ის კუთხის ბინა ბათუმიდან (პიონერთა პარკი) თბილისში. 98 81 32

იყიდება 110 კვ.მ. 2-ოთახიანი მიშენებით, ავტოფარეხით და სარდაფით ბახტრიონზე. ფასი შეთანხმებით. 96 91 93

იყიდება ჩეხური პროექტის 3-ოთახიანი ბინა რჩეულიშვილის ქუჩაზე, კაპიტალური სარდაფით, ავტოფარეხით, ტელეფონით, კონდიციონერით, წყლის გამაცხელებლით. ფასი 24 000$. 29 17 53, 8(99) 54 84 25

იყიდება ჩეხური პროექტის 3-ოთახიანი ბინა რჩეულიშვილის ქუჩაზე, კაპიტალური სარდაფით, ავტოფარეხით, ტელეფონით, კონდიციონერით, წყლის გამაცხელებლით. ფასი 24 000$. ტელ 29-17-53, 899 548425

მიწის ნაკვეთი

იყიდება 1200 კვ.მ. ნაკვეთი პატარა ოთახით, ტელეფონით, წყლით და დენით კრწანისის ქუჩაზე. 75 20 84

იყიდება 1200 კვ.მ. ნაკვეთი წყნეთში საუკეთესო ადგილას. 8(99) 23 00 10

ასურეთში აგარაკი 1100 კვ.მ. ხეხილიანი ეზოთი, კაპიტალური ორსართულიანი გარემონტებული სახლი, ელექტროგაყვანილობით, წყლით. ტ. 93-27-82, 893-20-32-92.

ბინები

ქირა, გირაო

ქირავდება!
სახლი აღმაშენებლის გამზ. N151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ. ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097

ქირავდება 4-ოთახიანი ახალი ბინა მეტრო დელისთან, ზაქარიაძის ქ.8-ში ("პარლამენტის სახლში") მდებარე ახლადაშენებული სახლის მე-10 სართულზე, კარგი რემონტით, საერთო ფართი 160 კვ.მ. 3 საძინებლით, 3 სველი წერტილით, წყლით, გაზით. 4 აივნით. ბინა ცარიელია, გამოდგება საოფისედაც. ფასი შეთანხმებით. ტელ. 39.74.56 მამუკა.

ქირავდება 1-ოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა სოლოლაკში. ყველა საჭირო ინვენტარით. 98-94-74.

კომერს. ფართი

ვაქირავებ 11 კვ.მ. ფართს ტელეფონით, მაგიდებით, თაროებით, კარგი დაცვით. გამოდგება საკომისიო მაღაზიისათვის და სხვა საყოფაცხოვრებო საქმისათვის. ფასი შეთანხმებით. 52 53 29

იყიდება 190 კვ.მ. ფართი მაღაზიად ან საოფისედ. გურამიშვილის გამზირი 9. ფასი 25 000. 93 66 46

ქირავდება ბინა საოფისედ ან კომერციული საქმიანობისათვის ვაკეში, ფალიაშვილზე. 66 26 89, 23 09 87

იყიდება ან ქირავდება 80 კვ.მ. საოფისე ფართი რუსთაველის 18-ში. 32 37 43

მანქანები

იყიდება მერსედესი 123-200 D 1983 წლის გამოშვება დიზელზე, კარგ მდგომარეობაში. ფასი: 1900. 877 730866

იყიდება !
ა/მ AUDI 90 Coupe GT. 1988 სპორტული, ოქროსფერი, ძრავი 2,3 ხუთცილინდრიანი, ტყავის სალონი, გიდრავლიკა, ლუქი. კარგ მდგომარეობაში. საწყისი ფასი 1500$ ტელ: 899 16 28 68

იყიდება გოლფი-3 92 წლის გამოშვება 1.8 ძრავი, 2 კარიანი ლურჯი ფერის. ფასი 2800$. ტელ: 893 347536.

სწავლება

მოვამზადებ მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს გა-ში მათი მოსვლით ან სახლში ჩემი მისვლით. 38 24 50 რომანი

ვამზადებ აბიტურიენტებს ბიოლოგიასა და გეოგრაფიაში ინდივიდუალურად სამედიცინო უნივერსიტეტისა და თსუ-ს პროგრამებით. ასევე მოსწავლეებსა და სტუდენტებს. 93 88 22, 98 59 60. მეტრო „რუსთაველთანა"

ლონდონში სტაჟირებული სპეციალისტი შეგასწავლით ინგლისურ ენას ინდივიდუალურად თქვენი მიზნების გათვალისწინებით. ტელ: 96-64-12, 893 219442, 95-20-34.

სხვადასხვა

შევიძენ "ლაი-ლაის"

სიმ ბარათს.

ტელ: 893 319288

იყიდება პატარა ძველებური მაგიდები, ფასი შეთანხმებით. 52 53 29

იყიდება ლონდონური ტაქსი „კები". გამოშვებული 1987 წ. ფასი 1500 $. 33 57 58

ყურის ბიბილოს გახვრეტა ამერიკული პისტოლეტით, ჩვენივე, ამორჩევაზე საყურეებით. სწრაფად და უმტკივნეულოდ. 52 53 29

სილამაზის სალონი „ბარბი" აცხადებს 30%-იან ფასდაკლებას ყველანაირი მომსახურებით. ჩაწერა წინასწარ. ტაბიძის 15, მერიასთან. 93 37 17

სილამაზის სალონი „ბარბი" აცხადებს მოსწავლეების მიღებას მოსამზადებელ კურსებზე. ტაბიძის 15, მერიასთან. 93 37 17

კომპიუტერული ცენტრი „TOPOS" გთავაზობთ
უახლესი კომპიუტერული პროგრამების შესწავლას, საწყისი პროგრამების ფასი 10 ლარი. მსენელები უზრუნველყოფილნი იქნებიან შესაბამისი ლიტერატურით. გაიცემა სერთიფიკატი.
მის.: „კოლმეურნეობის მოედანი", პირიმზის შენობა, VI სართული. ტელ: 93-52-24, 899 186686.

აფიშა

თეატრები

- **მარჯანიშვილის თეატრი**
ლაშა თაბუკაშვილი "თოვლივით თეთრი თოვლი", რეჟ. ანდრო ენუქიძე
დას: 18:00 სთ; ფასი 3-10 ლარი
- **თეატრალური სარდაფი**
"ახალგაზრდები", რეჟ. დიმიტრი ხვთისიაშვილი
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი
- **სამეფო უბნის თეატრი**
"ის სკამი, აი ეს საწოლი", რეჟ. დავით საყვარელიძე
დას: 18:00 სთ; ფასი 4-7 ლარი
- **ახმეტელის თეატრი**
"მეორედ მოსვლა ანუ ვიზიტი", რეჟ. დავით ანდღულაძე
დას: 18:00 სთ, ფასი 2,3 ლარი

საგამოფენო დარბაზები

- **ეროვნული გალერეა**
ედმუნდ კალანდაძის პერსონალური გამოფენა
- **„არტ-ორიენტი"**
"აბრეშუმის გზა"
- **გალერეა** New Art
New Art-ისა და "კოდაკის" ფოტოსკოლის კურსდამთავრებულთა გამოფენა
- **თანამედროვე ხელოვნების გალერეა**
80-იანელთა ნამუშევრების გამოფენა
- **„ქარვასლა"**
- **საერთაშორისო გამოფენა** Appendix
MxHz.org-ის პრეზენტაცია
14 საათზე
ჯგუფური გამოფენის ავტორები: ჰარუნ ფაროკი, ლევან ჭოღოშვილი, მარიცა გოევიჩი, სტეფან ფოშტეტლერი, ორხან ჰუსეინოვი, დავით კარეიანი, კარინე მაწაკიანი, ევა შტელე, გიო სუმბაძე, მატიას ვენერი, გელა კინწურაშვილი, თემურ ჯავახიშვილი, რაუფ ხალილოვი, ტორა აგაბეკოვა
- **აბრეშუმის ფაბრიკა**
Schweizer Int.
- **დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრი**
გურამ წიბახაშვილის, მარიცა გოევიჩისა და ნიკო ლომაშვილის ნამუშევრები
- **„კლუბი 22"**
იოჰან გრიმონპრე
- **9 აპრილის სახელობის პარკი:**
ატელიე ვან ლისჰაუტის "ცეხე"
- **გალერეა „არტ-სინთეზი"**
სტივენ ბლუმი
- **საზოგადოებრივ ადგილებში**
წარმოდგენილი იქნება ფილიპ მესტის ნამუშევრები

კინოთეატრები

- **„ამირანი"**
"საათები"
დას: 14:00; 18:00 ფასი 5-8 ლარი
"გემი მოჩვენება"
დას: 16:00; 20:00; 22:00 სთ; ფასი 7,8 ლარი
- **„ელისო"**
"ახალდაქორწინებულები"
დას: 15:00, 19:00 ფასი 5 ლარი
"ცისფერი კრუიზი"
დას: 17:00, 21:00 ფასი 7 ლარი
- **„რუსთაველი"**
"ცისფერი კრუიზი"
დას: 15:00, 19:00, ფასი 5 ლარი
"ახალდაქორწინებულები"
დას: 17:00, 21:30 ფასი 7 ლარი

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ა ც ხ ა დ ე ბ ს

სტუდენტთა მიღებას 2003-2004 სასწავლო წლისათვის.
ფაკულტეტზე მომავალი სტუდენტების მიღების პროცესი დასრულდება 2003 წლის 10 ივნისს.
ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტთა სია გამოქვეყნდება არა უგვიანეს ა.წ. 15 ივნისისა.
საბუთების მიიღება 2003-2004 სასწავლო წლისათვის დამთავრდება ა.წ. 15 მაისს.
მიღების წესები იხილეთ www. dphss.org ან მიაკითხეთ ინფორმაციისათვის ფილოსოფიის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამდივნოს.
მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის 45, II სართული. ტელ. 223742

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური" გთავაზობთ:

კომპიუტერის მემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათითითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- ალრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის №25 ტელ:29-48-61

TV პროგრამა 18 მაისი

რუსთავი - 2

08.00 კლასიკა
09.00 კურიერი
09.20 დრაკონთა მომთვინიერებლები
10.00 ჯაადოქარი
10.45 საბავშვო ფილმი
12.00, 15.00 კურიერი
12.20 სიმფონიები
12.50 მხ.ფილმი
15.20 ველური ამბები
16.10 მხ. ფილმი
17.00 სერიალი „კოლომბო"
18.00, 00.00 კურიერი
18.20 სერიალი „კოლომბო"
19.00 მხ. ფილმი
21.00 კურიერი
21.45 ჩვენი ეზო
22.00 „ჯეოსელის კინოკლუბი" - „კრისტინა" 877 45-79-25 რობი შნაიდერი, ალენ დელონი, „ჯერი და ტომი" 877 45-79-26, სმ როკველი, მორი ჩაიკინი, „კასანდრას ხიდი" 877 45-79-27 სოფი ლორენი, რიჩარდ ჰარისი.
00.15 მხ.ფ. „მულენ რუ:ი" მთ. რ-ში: ნიკოლ კიდმანი.
02.20 კლასიკა.

პირველი არხი

08.00 მოამბე
08.15 დოკ.სერიალი „მსოფლიოს ქალაქები"
08.30 მხ. ფილმი „ციმბირი"
10.00 „დილის პაემანი"
11.05 „ამბები ჩვენზე"
11.35 მოგზაურობა სასიტყვეთში
12.05 „სპა"
12.35 „პრეს-სტუდია"
13.25 მოსკოვი-თბილისი
13.55 ღამის ჯაზი
14.25 არათბილისური ამბები
15.00 საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე
15.20 სატ. სპექტაკლი „მარტოობის დღესასწაული"
16.40 „ჩემპიონი"
17.10 „ეკოდაიჯესტი"
17.35 „ეძიე ქალი"
18.00 ფეხბურთში საქ. ჩემპიონატი. „ლოკომოტივი"-"ვიტა-ჯორჯია". შესვენებისას ტაიმ-აუტი.
20.00 ტაიმ-აუტი
20.55 მუსიკალური ოქტაგონი
21.45 „ამბოგენ"
22.20 მეალმანია
22.55 სატელ. კინოდარბაზი „სიყვარული, ხანძარი და პომპიერო"
23.50 ტაიმ-აუტი
00.20 მხ. ფილმი „არლეტი".

პირველი სტერეო

10.00 ტორელა
13.00 გან. ათეული
13.45 ფილმი
15.45 სოლო
16.00 ფილმი „სკუბი-დუ" მთ.რ-ში მეთიუ ლილარდი.
19.15 ქართული მუსიკა
19.50, 20.15 უცნობი
21.15 რუსული მუსათეული
22.30 პროფათეული
23.00 აბა გამოიცანი მელოდია
00.00 ფილმი ბრავო „ვიქტორავეგ ოთახს" მთ.რ-ში საიდ ტაგგაული.
01.40 ფილმი ღამურა „ვამპირის ჩრდილი" მთ. რ-ში ჯონ მალკოვიჩი.
03.45 აპუზის ბარეშე

მეორე არხი

19.00 მხიარული კარუსელი
19.30 დიზაინი
19.50 მრავალსახეობა
20.30 ვიცი
21.00 დოკ. ფილმი
21.50 ვარსკვლავები გვამცნობენ
22.00 ფვიდეული
23.00 მხ. ფილმი „გზაჯვარედინები"

კავკასია

12.00 მხ. ფილმი „რუბანტინო"
13.30 მხ. ფილმი „ტყვია"
15.00 მხ. ფილმი „იურული პერიოდის პარკი"
17.00 მხ. ფილმი „ბრგოლელი"
19.00 ინდ. მხ. ფილმი „ბასწირე შენი თავი"
22.00 მხ. ფილმი „დაქირავებული მკვლელი"
00.20 მხ. ფილმი „იდეალური მკვლელობა"

იგერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.20 აღსავალი
08.25, 10.15, 12.30, 21.55, 22.50 მუსიკა
08.30 ახალი ამბები
09.00 მხ. ფილმი „ბოსფორდ-პარკი"
10.20 მულტფილმი
12.30 გადაცემა - მურადა (განმ.)
13.00 მუსიკალურ ტალღაზე
15.00 „თეთრ კვადრატი". გვიდო რენი.
17.00 გალეტი.
19.30 დოკ. ფილმი
20.00 მხ. ფილმი „40 დღე და 40 ღამე"
22.00 ტელე-სინე-ვიდეო
23.00 მხ.ფ. „სასიკვდილო ცდუნება"
01.00 ღამის ფილმი

მეცხრე არხი

09.30 დღის ამბები
09.50, 11.50, 17.00, 19.20, 21.30, 00.10 მუსიკა
10.00 სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო"
10.25 მულტსერიალი „განანების ზოოპარკი"
11.00 „საუბრები სტუდიაში"
12.00 მხ. ფილმი „პიკასო"
14.15 დოკ. ფილმი „და მართლის მთქმელი მოკვდება" (პიერ-პაოლო პაზოლინი)
15.15 მხ. ფილმი „მხიარული ცხოვრება"
17.05 მულტფილმი „ალადინი"
18.00 დოკ. ფილმი „საოცარი სპორტი" მე-5ს.
19.00 „ბელისიმო".
19.30 „მსოფლიო ფეხბურთი"
20.00 „ოსტატები".
20.40 მხ. სერიალი „რაც გინდა აკეთე" მე-4 ს.
22.00 მარიონეტების ფილმი „ყოჩაღები". „სტეპი"
22.15 „ლეო და გეო"
22.30 მხ. ფილმი „ჩამოვარდნილი ზეცა"
00.20 მხ. ფილმი „ჩემი მშვენიერი ლედი".

იმედი

11.00, 02.00 ახალი ამბების დაიჯესტი
11.05, 01.10 იმედის მელოდიები
12.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ქრონიკა
12.10 ანიმაციური ფილმი „ფანტომეტა"
12.30 ახალგაზრდული სერიალი „უკიდურესი ზღვარი"
13.30 „არტ-ბულვარი" შოუ-ბიზნესი
13.45 თოქ-შოუ „არჩევანი თქვენ"
15.15 სპორტ. პროგრამა „ასი"
15.35 ქართ. ფილმი „დღე პირველი, დღე უკანასკნელი"
17.05 დოკ. სერიალი „გრძოლა გადარჩენისათვის"
18.00 სერიალი „იუდას ქალი"
19.30 სერიალი „შტოკინგერი"
20.30 თამაში „ლარის მახე"
21.00 ქართ. სერიალი „ცხელი ქაღლი"
22.40 „წარსულის ერთი კვირა" მე-9 ს.
23.05 „მუღამები"
23.30 სერიალი „ნირო ვულფი".

აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.20, 10.45 მუსიკა
09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
09.10 საბავშვო ფილმი „ჰერცოგი დიუკი"
10.35 „ყველანი ვართ პატარები"
11.00 Слово
12.10 „სამყარო მშვენიერია" ბავშვები და ხელოვნება
12.15 კომედია „შეხება"
14.00 მელოდრამა „ბულთან ახლოს"
16.10 „სამყარო მშვენიერია" ბავშვები და ხელოვნება
16.15 მულტფილმი „ცეროდენა ბობონა"
17.40 თრილერი „დები"
19.00, 22.00, 00.00 „დღეს"
19.20 „სამყარო მშვენიერია" ბავშვები და ხელოვნება
19.25 დოკუმენტური ფილმი
19.45 მხატვრული ფილმი „ოლიგარქი"
22.20, 00.20 Новости в воскресенье
22.40 Величественное наследие
23.05 „ქალბატონები"
00.40, 03.20 მუსიკა
01.20 მელოდრამა „მიწიერი სურვილები"
03.45 კომედია „სადგური ორისათვის"

VII არხი

16.50 „ლა-ლა-ლა"
17.40 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
18.00 ევროპული ფეხბურთი
18.45 „აჩიკუდა"
19.50 ავტოტრეკინგი
20.20 კომპიუტერული თამაშები
20.30 „კინოკლუბი „ - „დაჰირეთ ცეროდენა"
22.10 აუდიო-ვიდეო-ტელე
22.40 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი" -იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა
22.55 კომპიუტერული ტექნიკა
23.35 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი" -ესპანეთის ჩემპიონატი.

ОРТ

07.10 Сериал „Китайский связной"
08.00, 11.00, 15.00, 00.00 Новости
08.10 Сериал „Приключения Геркулеса"
09.00 Сериал „Твинисы"
09.20 „Армейский магазин"
09.50 Дисней-клуб: „Легенда о Тарзане"
10.10 „В мире животных"
11.10 „Непутевые заметки"
11.30 „Пока все дома"
12.05 „Дог-шоу"
12.55 „Крылья"
13.20 „Клуб путешественников"
14.05 „Умницы и умники"
14.35 Дисней-клуб: „Геркулес"
15.10 „Властелин вкуса"
16.05 „Кумиры". Т.Миансарова
16.30 „Слабое звено"
17.30 „Мы делаем „Ералаш", ч.2
17.55 Док.сериал „Живая природа".
19.00 „Времена"
20.10 „Смешные люди"
21.55 Боевик „Внезапная смерть"
00.10 Бокс. Рой Джонс - Клинтон Вудс
00.45 Концерт „Радиомания-2003".
02.10 Триллер „Убийство на радио"

РТР

08.00 Фильм-сказка „Садко"
09.20 Мультфильм „Сказка о царе Салтане"
10.20 „Русское лото"
11.05 „ТВ Бинго-шоу"
11.35 Вести - Москва. Неделя в городе
12.15 „Утренний разговор"
12.50 „Городок". Дайджест
13.20 Комедия „Лос-Анджелесская история"
15.10 „Парламентский час"
16.00, 22.00 Вести
16.20 „Вокруг света"
17.15 „Диалоги о животных"
18.20 „Кремлевские тайны академика Арбатова"
18.55 „Комната смеха"
19.55 Худ.фильм „Топ Ган (Лучший стрелок)"
21.50 „В „Городке"
23.10 „Специальный корреспондент"
23.35 Худ.фильм „Почтальон"
03.00 Чемпионат мира „Формула-1". Гран-При Австрии
05.05 Сериал „Семь дней"

НТВ

07.20 Худ.фильм „Полундра!"
07.50 Комедия „Дон Сезар де Базан", 1 с.
09.00, 13.00, 17.00 „Сегодня"
09.20 Комедия „Дон Сезар де Базан", 2 с.
10.25 Лотерея „Шар удачи"
11.00 Сериал „Любовь вдовца"
11.50 „Растительная жизнь". Л.Ахеджакова и А.Будницкая
12.30 „Вы будете смеяться!"
13.15 „Влияние"
14.00 Детектив „Особо опасные..."
15.50 „Вкусные истории"
16.05 „Своя игра"
17.20 Играем в „Кено"
17.25 „Экстремальный контакт: ядовитые морские скитальцы"
17.50 Ток-шоу „Принцип домино". „Трудно быть лысым"
19.05 Комедия „Рассеянный"
20.45 Детектив „Сыщики 2".
22.00 „Намедни"
23.30 Триллер „Люди-кошки"
02.00 Сериал „Клан Сопрано"
03.00 „Журнал Лиги чемпионов"
03.30 „Ночь"

პროგრამები იბეჭდება მედიასთან ურთიერთობის სააგენტო "ინფოზავრის" ნებართვით

ფეხბურთი

„დინამომ" ლიდერობა დაიბრუნა

მიხეილ აბაიშვილი

გუშინ ეროვნულ სტადიონზე თბილისის "დინამოსა" და ფოთის "კოლხეთს" შორის გამართული მატჩი მხოლოდ იმ ინტრიგას ატარებდა, თუ რამდენჯერ შეძლებდნენ დინამოელები ზღვისპირელთა მეკარის დაშამათებას. "დინამომ" ეს პირველივე ტაიმში 4-ჯერ გააკეთა, მეორე ტაიმში ოთხს ერთიც მიუმატა და დიდი ანგარიშით გამარჯვებასთან ერთად, სატურნირო ცხრილში პირველი პოზიციაც დაიბრუნა.

რატი ალექსიძე (მარჯვნივ) "მეორე სართულზე"

ლევან ხარხელიანის ფოტო

დინამო 5:1 კოლხეთი

დინამო: *ზოიძე, ვაშაკიძე, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, ბურდული (ექონია, 65`), სახვაძე, კანდელაკი, გოგობერიშვილი (სამხარაძე, 60`), კვირკველია, ალექსიძე (ჯაკობია, 54`), ახალაია*

მთავარი მწვრთნელი: *ივო შუშაკი.*

კოლხეთი: *ჩემია, გოროზია, ქობულაძე, დ. ნარსია, გაბიდაური, დარსანია (ხურცილავა, 80`), ღონღაძე, მარგალიტაძე ( გოჩალეიშვილი, 46`), გაგუა (ნ. ნარსია, 58`), კრასოვსკი, ტულუში*

მთავარი მწვრთნელი: *სოსო ფილია.*

გოლები: *1:0, ახალაია 17`, 2:0 ალექსიძე 20`, 3:0 კვირკველია 26`, 3:1 გაგუა 30` (პენ.), 4:1 ახალაია 42`, 5:1 სამხარაძე 76`*

მთავარი მსაჯი: *მერაბ მალაღურაძე*

მეორე ეტაპზე ამ გუნდების პირველი წრის შეხვედრა, რომელიც ფოთში გაიმართა, ფრედ, 0:0 დასრულდა. შესაბამისად, მატჩის დაწყებამდე შეიძლებოდა ვინმეს ეფიქრა, რომ ფოთელები ჩემპიონობის რეალურ პრეტენდენტს სტუმრადაც სერიოზულ ბრძოლას შესთავაზებდნენ, მით უმეტეს, რომ ამ თამაშში სხვადასხვა მიზეზთა გამო "დინამოს" ძირითადი შემადგენლობის ოთხი ფეხბურთელი - დარასელია, ანჩაბაძე, კარლოსი და ხიზანეიშვილი აკლდა. ამის გამო, შუშაკი იძულებული გახდა, რომ ბოლო დროს უთამაშებელი სახვაძე ძირითად შემადგენლობაში "კვირკველიას ადგილზე", მარცხენა ნახევარმცველის პოზიციაზე გაემწესებინა, თავად კვირკველია კი ცენტრში შეეწია და მისთვის გამთამაშებლის ფუნქცია დაეკისრებინა. ძირითად შემადგენლობაში გამოჩნდა ილია კანდელაკიც, ხოლო მეორე ტაიმში, როდესაც მატჩის ბედი, პრაქტიკულად, გადაწყვეტილი იყო, ხორვატმა მწვრთნელმა მოედანზე საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების წევრი, ზურაბ ექონია შემოუშვა, რომლისთვისაც ეს შეხვედრა უმაღლეს ლიგაში სადებიუტო იყო.

მართალია, დაძაბული დაპირისპირება არ შედგა, მაგრამ ფოთელები დასაწყისში უბრძოლველად დანებებას არ აპირებდნენ. ეს პირველივე წამებზე გამოჩნდა: შეხვედრა დაიწყო თუ არა, "დინამოს" მცველებმა უყურადღებოდ ითამაშეს და გაგუა ზოიძესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ ხელსაყრელი მომენტის გამოყენება ვერ მოახერხა. ამის შემდეგ მასპინძლები სრულ უპირატესობას დაეუფლნენ. ფოთელებმა მხოლოდ მე-17 წუთამდე გაძლეს. ამ დროისთვის "დინამომ" სწრაფი ფლანგური შეტევა განახორციელა, რომელიც ზუსტი დარტყმით ახალაიამ დააგვირგვინა. კიდევ სამ წუთში იგივე მარცხენა ფლანგიდან ზუსტი ჩაწოდების შემდეგ ალექსიძემ თავური დარტყმით ორამდე გაზარდა ანგარიშში სხვაობა. ამ ორმა გოლმა "დინამოს" შეტევებს სიმწვავე არ მოაკლო და ჯერ კვირკველიამ, ხოლო შემდეგ ახალაიამ კიდევ ორი გოლი გაუტანეს სტუმრებს. "კოლხეთმა" მხოლოდ ის მოახერხა, რომ 30-ე წუთზე საკუთარ საჯარიმო მოედანში ხელით თამაშის გამო დანიშნული თერთმეტმეტრიანი დარტყმა ზუსტად გამოიყენა და პრესტიჟის გოლი გაიტანა.

შეხვედრის მეორე ნახევარში მასპინძლებმა აქტიურობას უკლეს. ამის მიუხედავად, ჩემიას კართან რამდენიმე სახიფათო მომენტი მაინც შეიქმნა, რომელთაგან ერთი - სამხარაძემ გოლად აქცია.

სოსო ფილია: "ჩვენთვის ცნობილი იყო, რომ ჩემპიონობისთვის მებრძოლ "დინამოს" ქულის დაკარგვის უფლება არ ჰქონდა და ძალზე ძნელი თამაში გველოდა. მით უმეტეს, რომ მისსავე მოედანზე გვიწევდა თამაში. რა შემიძლია ვთქვა? მეტოქემ ყველა ასპექტში დაგვჯაბნა და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა. უფრო მეტიც: "დინამომ" მეორე ტაიმში დაწოლა შეამცირა, თორემ, ალბათ, უფრო დიდი სხვაობითაც დავმარცხდებოდით."

ივო შუშაკი: "ბოლო ტურის მატჩები ნერვიულ ვითარებაში მიმდინარეობს და ასეთ დროს ძალზე საშიშია ისეთ გუნდთან თამაში, რომელსაც მოტივაცია დაკარგული აქვს და, შესაბამისად, ფსიქოლოგიური წნეხით დათრგუნული არ არის. საბედნიეროდ, მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი გვაკლდა, ჩემმა ბიჭებმა საქმეს კარგად გაართვეს თავი და როგორც თამაშის ხარისხით, ისე შედეგით, უაღრესად კმაყოფილი ვარ."

"დინამომ" 3 ქულით გადაუსწრო "ვიტ ჯორჯიას", მაგრამ ვეტერინარებს წამონევის შანსი აქვთ, რადგან დღეს მართავს შეხვედრას – "ლოკომოტივის" სტადიონზე რკინიგზელებთან. დღესვე, ქუთაისის "ტორპედო" ბოლნისის "სიონს" უმასპინძლებს და თასის ნახევარფინალში განცდილი მარცხისთვის რევანშის აღებას შეეცდება.

სატურნირო მდგომარეობა

დინამო	8	41
ვიტ ჯორჯია	7	38
ლოკომოტივი	7	36
ტორპედო	7	36
სიონი	7	22
კოლხეთი	8	18

ძიუდო

წარუმატებლობით შეცვლილი წარმატება

გიგა გურასაშვილი

დიუსელდორფში მიმდინარე ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატის მეორე დღე პირველის მსგავსი ვერ გამოდგა. თუ წინა დღით ქართველ ძიუდოისტებს კვარცხლბეკის სამივე საფეხურზე ვხედავდით, გუშინ მათ ტატამზე მხოლოდ მესამე ადგილისთვის საბრძოლველად უხმეს. თუმცა, პრიზიორობის შანსი ვერც აქ გამოიყენეს. კონტინენტის უმთავრესი ასპარეზობის მეორე დღე კი 73, 81 და 90 კილოგრამ წონით კატეგორიებს დაეთმო.

დიუსელდორფში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატი საკმაოდ წარმომადგენლობითი გამოდგა. ფაქტობრივად, ევროპულ ტატამზე კონტინენტის ყველა უძლიერესი ძიუდოისტი გამოდის. შეჯიბრების 320 მონაწილე ქალ-ვაჟს შორის ხუთი ოლიმპიური, შვიდი მსოფლიოსა და 25 ევროპის ჩემპიონია.

რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, მათ გუშინ აშკარა კრახი განიცადეს. ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა იმას, რომ 73 კილოგრამ წონით კატეგორიაში დავით ქევხიშვილს საპრიზოს მიღმა დარჩენა მოუწევდა. ევროპის ჩემპიონატის ვერცხლისმედალოსანმა, მას შემდეგ, რაც იტალიელ ფრანჩესკო ბრიერს გაუსწორდა, მეორე შეხვედრაში ფრანგ კრისტოფ მასინასთან ორთაბრძოლა დათმო. მასინასთან მარცხის შემდეგ, ქევხიშვილმა რეპეშაჟში გააგრძელა, მაგრამ აქაც პირველივე შეხვედრაში, სრულიად უცნობ კვიპროსელ ქრისტოდულოს ქრისტოდოულიდესთან იწვნია მარცხი, თანაც - იპონით. ასე რომ, ქევხიშვილმა მესამეობის შანსიც ვერ გამოიყენა.

ქევხიშვილისგან განსხვავებით, 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე მინდია ბოდაველი უმთავრეს ასპარეზობას პირველივე წრეში გამოეთიშა. ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონი, რომლისთვისაც დიდებს შორის ევროპულ ტატამზე ასპარეზობა სადებიუტო გახლდათ, უტიტულო ბრიტანელთან, ეუან ბარტონთან დამარცხდა. მერე ვერც ალბიონელმა შეძლო გზის გაკაფვა და, შესაბამისად, ბოდაველსაც არ მიეცა რეპეშაჟში ასპარეზობის შესაძლებლობა.

ერთადერთ ნუგეშად 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ზურაბ ზვიადაური რჩებოდა. მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის მედლის მფლობელმა და ევროპის ჩემპიონატის "ბრინჯაოსანმა" ეფექტურად აიღო სტარტი. ზვიადაურმა პირველივე წრეში ესპანელ დავიდ ალარზას, ფაქტობრივად, ორ წუთში მოუღო ბოლო. სლოვაკმა ანტონ მინარიკმაც ესპანელის ბედი გაიზიარა. ქართველმა ძიუდოისტმა აქაც ორ წუთში იმარჯვა, ამასთან - იპონით. აი, მესამე შეხვედრაში კი ზვიადაურს რუსეთის წარმომადგენელ ხასანბი ტაოვთან მოუხდა ურთიერთობის გარკვევა. საკმაოდ ჩქარ ტემპში მიმდინარე ორთაბრძოლაში ქართველი მეტოქეს მოსვენებას არ აძლევდა და ერთმანეთის მიყოლებით კოკა და იუკოკ აართვა, მაგრამ... წუთსა და 35 წამში ტაოვმა სუფთა გდებით იპონი დაიმსახურა. ზვიადაურმა რეპეშაჟში მომლოდინე სომეხ ალბერტ მინასიანთან გააგრძელა ბრძოლა და მოიგო კიდეც. მინასიანის შემდეგ, ზვიადაურს ახალგაზრდებს შორის ევროპის ვიცე-ჩემპიონთან თურქ ოზგიურ ილმაზთან შესაჭიდებლად უხმეს. თურქთან შეხვედრაში ზვიადაური საკუთარ თავს აღარ ჰგავდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ხელი ჰქონდა ჩაქნეული. ბუნებრივია, ეს ყოველივე შედეგზეც აისახა. ზვიადაურმა მეტოქეს ჯერ კოკა დაუთმო, შემდეგ კი იპონის საშუალებაც მისცა. შედეგად, ჩასათვლელი მეშვიდე ადგილით დაასრულა ევროპის ჩემპიონატი. ისე კი, ტიტულოვან სპორტსმენთა წარუმატებლობა 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში არც ზვიადაურით დაწყებულა და არც მისით დასრულებულა. პირველობის შანსი დაკარგეს მსოფლიოს ჩემპიონმა, ევროპისა და ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედლის მფლობელმა ფრანგმა ფრედერიკ დემონფაკონმა და ჰოლანდიელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ბრინჯაოს მედალოსანმა და ევროპის ოთხგზის ჩემპიონმა მარკ ჰუზინგამაც.

ფორმულა 1

„წითელი ზვიგენი" სანადიროდ მიდის

ახალმა Ferrari-მ კვალიფიკაცია ხუთიანზე გაიარა

ნინო პირველი

Ferrari-ს ახალი ბოლიდ F2003GA–ს ტყუილად კი არ ჰქვია "წითელი ზვიგენი" – ამ საოცრად სწრაფი მანქანის საჭესთან მოკალათებული მიხაელ შუმახერი და რუბენს ბარიკელო ფორმულა 1-ის დანარჩენ პატარა თევზებს არხეინად ყლაპავენ. პარასკევის საკვალიფიკაციო რბოლისას "ზვიგენებთან" მიახლოება ვერავინ შეძლო. შუმახერი და ბარიკელო შეუდარებლები იყვნენ და პირველი-მეორე ადგილები დამსახურებულად მოიპოვეს. საერთო ჩათვლის ლიდერი კიმი რაიკონენი მხოლოდ და მხოლოდ მერვე იყო, მისი თანაგუნდელი დევიდ კულჰარდი კი - მეშვიდე. Mclaren-Mercedesis-ს ხელმძღვანელობა ასეთ ცუდ შედეგს ნამდვილად არ ელოდა და რბოლის შემდეგ მეტად უკმაყოფილო დარჩა. თუმცა, "ვერცხლისფერი ისრების" წარუმატებლობა რა მოსატანია იმ ფიასკოსთან, რაც Williams-ის პილოტებმა განიცადეს - რალფ შუმახერმა ერთ-ერთ მოსახვევში მოულოდნელად დაამუხრუჭა და ბორდიურს შეასკდა. ამ უაზრო შეცდომის წყალობით, უმცროსი "შუმი" ბოლო ადგილზე გავიდა და დღევანდელ რბოლაში ლიდერთა შორის მოხვედრის არანაირი შანსი არ აქვს. კიდევ კარგი, კოლუმბიელმა ხუან პაბლო მონტოიამ მაინც შეძლო მეექვსე ადგილის დაკავება, თორემ ფრენკ უილიამსს, ალბათ, გულის შეტევა არ ასცდებოდა.

შუმახერი ახალი ბოლიდით აღფრთოვანებულია.

REUTERS

რალფი ამ მოულოდნელმა წარუმატებლობამ დიდად დააღონა. მისი მეუღლე კორა ავსტრიელია და უმცროს "შუმისაც" გულით უნდოდა, მეუღლის სამშობლოში გამარჯვება მოეპოვებინა. კორაც და რალფიც იმედოვნებდნენ, რომ ავსტრიელები მათ მხარს დაუჭერდნენ, მაგრამ ისე მოხდა, რომ რალფი მაჩანჩალათა შორის მოექცა და გულშემატკივართა გამხნევება უკვე აღარც კი სჭირდება.

სამაგიეროდ, უსაზღვროდ ბედნიერი იყო რალფის უფროსი ძმა მიხაელი. ამდენი წარუმატებლობის შემდეგ, ზედიზედ მოპოვებულმა ორმა გამარჯვებამ მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს ისევ შემატა რწმენა, რომ მეექვსე ტიტულისათვის ბრძოლა ჯერაც არ იყო წაგებული. ახალი Ferrari შეუდარებელია. "წითელი ზვიგენი" ისე სწრაფად დაფრინავს, რომ თავად შუმახერიც კი გაკვირვებულია. "მე თვითონაც გაოგნებული ვარ, რა საოცარი სიჩქარე აქვს მანქანას. ეს დაუჯერებელია", - ამბობს გახარებული "შუმი". მსოფლიო ჩემპიონი ემოციების მოთოკვას ვეღარ ახერხებს. პარასკევს, საკვალიფიკაციო რბოლის შემდეგ, შუმახერი ბოქსში შევიდა და ისეთი რამ ჩაიდინა, რაც აქამდე არასოდეს გაუკეთებია - თავის მექანიკოსს გადაეხვია და მადლობის ნიშნად გადაკოცნა. ასეთი გულჩვილი "შუმი" არავის უნახავს. როგორც ჩანს, ორთვიან ნერვიულობას და დაძაბულობას უკვალოდ არ ჩაუვლია. კრიზისი ყველამ ერთად დაძლია, რთული მდგომარეობიდან გამოსვლაში შუმახერს Ferrari-ს ტექნიკური პერსონალიც უდიდეს დახმარებას უწევდა, სწორედ ამიტომ უხდის ყველას მადლობას ფორმულა 1-ის სენტიმენტალური ჩემპიონი...

ახლა უკვე ყველასთვის ნათელია - თუ დღეს რაიმე მოულოდნელობა არ მოხდა, მიხაელ შუმახერი ავსტრიის რბოლას აუცილებლად მოიგებს. A 1-Ring ავსტრიაში წელს უკანასკნელად ტარდება. მომავალი სეზონისთვის, შესაძლოა, ეს რბოლა ფორმულა 1-ის პროგრამაში უკვე აღარ იყოს. აბა, ვინ არ მოინდომებს, ავსტრიული გრან-პრის ისტორიაში დარჩეს, როგორც რბოლის ბოლო გამარჯვებული? ამ პატივის ღირსი სხვა ვინ უნდა გახდეს, თუ არა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი? ამის იმედი შუმახერსაც აქვს.

ყველასათვის მოულოდნელი აღმოჩნდა ახალგაზრდა ესპანელი პილოტის, ფერნანდო ალონსოს მეცამეტე ადგილი. ამ 21 წლის ბიჭს ყველა დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებს და მის ასეთ წაბორძიკებას ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე. ესპანეთი ხომ უკვე დიდი ხანია, საკუთარ ჩემპიონზე ოცნებობს. ალონსოს გაჩემპიონება, ალბათ, მაინც დროის საქმეა. Renault-ის სიმპათიური პილოტი ამ წოდებისთვის ჯერ ძალიან ახალგაზრდაა. ალონსოს მეცამეტე ადგილი შეხვდა, Jaguar-ის ავსტრალიელ პილოტ მარკ ვებერს კი - მესამე. ეს ვებერის მხრიდან დიდი სიურპრიზია, რადგან უკვე სეზონის მეხუთე რბოლა ტარდება, მას კი აქამდე ერთი ქულაც არ აქვს მოპოვებული. დღეს ვებერს და Jaguar-ს, ასე ვთქვათ, სატურნირო მდგომარეობის გამოსწორების შესაძლებლობა ეძლევათ. ვნახოთ, როგორ გამოიყენებენ ამ ბრწყინვალე შანსს...

მოკლედ

ფეხბურთი. ურუგვაის "ნასიონალის" ორ ფეხბურთელს შორის მომხდარმა ჩხუბმა კლუბის მწვრთნელი აზარალა. მოჩხუბართა გასაშველებლად მისულს ერთ-ერთი მათგანის მუშტი მოხვდა და ცხვირი გაუტეხა. მომხდართან დაკავშირებით კლუბის ხელმძღვანელობა მოთამაშეთა დასჯას აპირებს, თუმცა მხოლოდ ერთმანეთში ჩხუბისთვის და არა მწვრთნელისთვის ცხვირის გატეხვისთვის.

ფეხბურთი. მადრიდის "რეალის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა დროებით გადაედო მოლაპარაკება ვისენტე დელ ბოსკესთან კონტრაქტის გაგრძელების თაობაზე. კლუბის სპორტული დირექტორის, ხორხე ვალდანოს თქმით მოლაპარაკების ვადის გადაწევა არაა გამოწვეული ჩემპიონთა ლიგაში "იუვენტუსთან" მარცხის გამო. ვალდანოს თქმით, ახლა კლუბის მიზანი ესპანეთის ჩემპიონობის მოპოვებაა. როგორც ჩანს, დელ ბოსკეს ბედიც "რეალის" გაჩემპიონობაზეა დამოკიდებული.

ფეხბურთი. მოსკოვის "ტორპედო-მეტალურგის" მწვრთნელი სერგეი ალეინიკოვი ამიერიდან კლუბის ახალგაზრდულ გუნდს გაწვრთნის, მთავარ გუნდს კი ცნობილი სპეციალისტი ვალენტინ ივანოვი გაწვრთნის. მწვრთნელის შეცვლა კლუბის ხელმძღვანელობამ "ტორპედო-მეტალურგის" მიერ ნაჩვენები შედეგების გამო გადაწყვიტა. გუნდი რუსეთის ჩემპიონატის აუტსაიდერია და მისი თამაშიდან გამომდინარე არც აღმასვლა "ემუქრება".

ფეხბურთი. იტალიური საფეხბურთო კლუბი "ფლორენცია" ახლო მომავალში ძველ სახელს - "ფიორენტინას" დაიბრუნებს. ამისთვის კლუბის ხელმძღვანელს დიეგო დელა ვალეს 2,5 მილიონი ევროს გაღება მოუწევს, რათა "ფიორენტინას" ძველი მეპატრონეებისგან სახელის უფლება გამოისყიდოს. დელა ვალე ვალდებულია, ორი თვის განმავლობაში მათ ანგარიშზე აღნიშნული თანხა ჩარიცხოს.

გასული სეზონის ბოლოს "ფიორენტინამ" გაკოტრების შესახებ ოფიციალურად განაცხადა და, შესაბამისად, არსებობაც შეწყვიტა. თუმცა, მის ადგილზე უცბად აღმოცენდა სხვა კლუბი, რომელიც თავდაპირველად "ფიორენტინა - 1926"-ად იწოდებოდა (კლუბი 1926 წელს დაარსდა. - რედ.) შემდეგ კი "ფლორენციად" მოინათლა. ცნობისთვის: რამდენიმე დღის წინ "ფლორენციამ" იტალიის სერია C2 ჩემპიონატი მოიგო.

ფეხბურთი. წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა ოსვალდო არდილესმა "რასინგის" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გადადგომა გადაწყვიტა. მწრვთნელმა გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც "რასინგმა", ფაქტობრივად, დაკარგა არგენტინის ჩემპიონატის მოგების შანსი. ჩემპიონატის დასრულებამდე შვიდი ტურით ადრე გუნდი მეხუთე ადგილზეა და ლიდერს ათი ქულით ჩამორჩება. არდილესი ახლა ინგლისში დასვენებას აპირებს, სადაც მას სახლი აქვს, შემდეგ კი კვლავ არგენტინაში დაბრუნებას და რომელიმე კლუბის გაწვრთნას ვარაუდობს.

ფეხბურთი. უწყინარი "ფლირტი" ქრისტოფ დაუმსა და გერმანული "შალკე 04"-ის ხელმძღვანელობას შორის თანდათან ქარიშხლიან სიყვარულის ახსნაში გადაიზარდა. "შალკეს" ბოსები დაუმს გულისამაჩუყებლად უმტკიცებენ, უთქვენოდ სიცოცხლე არ შეგვიძლიაო და გელზენკირხენში ეპატიჟებიან. გულშემატკივრები უკვე დიდი ხანია დაუმის მიწვევას ითხოვენ. "შალკე" ამჟამად მეშვიდე ადგილზეა ბუნდესლიგაში და უეფას თასის საგზურის მოპოვებისგანაც კი შორსაა, ჩემპიონთა ლიგას ვინღა ჩივის. სწორედ ამიტომ, კლუბის მენეჯერ რუდი აუსაუერს აუცილებლად ჭირდება ქრისტოფ დაუმის მსგავსი გამოცდილი სპეციალისტი, რომელიც მის გაჭირვებაში ჩავარდნილ გუნდს კრიზისიდან გამოიყვანს.

"შალკეს" და დაუმის კურკური შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ვენაში. "აუსტრიას" ხელმძღვანელობისთვის ნათელი გახდა, რომ დაუმი პირველსავე ხელსაყრელი წინადადების მიღების შემთხვევაში მიატოვებდა გუნდს, რომელთან ერთადაც ცოტა ხნის წინ ჩემპიონთა ლიგის დაპყრობაზე ოცნებობდა. ავსტრიელებმა გადაწყვიტეს, მოვლენებს დაასწრონ და დაუმი თავად დაითხოვონ კლუბიდან. ჯერჯერობით ფრანკ შტრონახს დაუმი ოფიციალურად არ გაუთავისუფლებია "აუსტრიას" თავკაცის თანამდებობიდან, მაგრამ ვენაში ფიქრობენ, რომ ეს დღე არც ისე შორსაა.

ფეხბურთი. მადრიდის "რეალის" დამარცხების შემდეგ თითქმის ყველას გონია, რომ ჩემპიონთა ლიგას ტურინის "იუვენტუსი" მოიგებს. იშვიათად თუ გამოერევა ვინმე, ვინც "იუვეს" ფავორიტად არ მიიჩნევს და გამარჯვებას "მილანს" უწინასწარმეტყველებს. იტალიის ნაკრების ლეგენდარული მეკარე დინო ძოფი ერთ-ერთი იმათგანია, ვისაც "იუვეს" ტრიუმფისა არ სჯერა. მიუხედავად იმისა, რომ ძოფი თავის დროზე არა მარტო თამაშობდა ტურინულ კლუბში, არამედ "ბეზერ სინიორას" წვრთნიდა კიდეც, ის მაინც არ გულშემატკივრობს თავის ყოფილ კლუბს და აცხადებს, რომ ამ ორი გუნდიდან არც ერთი არ არის ფავორიტი.

რაც "ლაციო" დატოვა, ძოფს აღარც ერთ კლუბში აღარ უმუშავია. უცნაური უნდა იყოს ამდენი ხანი უმუშევრად დატოვება იმ კაცისა, რომელმაც იტალიის ნაკრები 2000 წელს ევროპის ჩემპიონატის ფინალში გაიყვანა. ძოფი აცხადებს, რომ ახლახანს სტამბულის "ფენერბახჩედან" მიიღო წინადადება და გამორიცხული არ არის, რომ მომავალ სეზონში თურქეთში წავიდეს.

ფეხბურთი. ლონდონის "ჩელსის" კაპიტნმა, მარსელ დესაიმ განაცხადა, რომ ფეხბურთელის კარიერას 2004 წელს დაასრულებს. ფრანგი მცველის ბოლო ტურნირი ევროპის 2004 წლსი ჩემპიონატი იქნება. "იმ დროისთვის ჩემი ფეხბურთიდან წასვლის დრო დადგება", - განაცხადა ფრანგმა ფეხბურთელმა, რომელსაც ნაკრებში 104 მატჩი აქვს ნათამაშები და ამ მაჩვენებლით თანამემამულეთა შორის რეკორდსმენია.

ფეხბურთი. დანიის ჩემპიონის, "ბრონდბიუს" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ორი წლით გაეგრძელებინა მოქმედი კონტრაქტი კლუბის მწვრთნელთან, მიქაელ ლაუდრუპთან. თავად ლაუდრუპი აცხადებს, რომ "ბრონდბიუში" თავს მშვენივრად გრძნობს და ვერ ხედავს მიზეზს, რის გამოც შეიძლება უარი თქვას შეთავაზებულ წინადადებაზე.

ფორმულა 1. "ფერარის" ახალ ბოლიდს ჯერ კიდევ არ გამოუვლენია სრულად თავისი შესაძლებლობები. ამის შესახებ გუშინ განაცხადა მსოფლიოს ჩემპიონმა მიხაელ შუმახერმა. მისი თქმით, ახალი ბოლიდი იმაზე სწრაფია, ვიდრე ეს რბოლისას გამოჩნდა. აქედან გამომდინარე მეტოქეებს ჩვენი დამარცხების ძალიან მცირე შანსი რჩებათო.

ფორმულა 1. ავსტრიაში ფორმულა 1-ის რბოლები მომავალი წლიდან აღარ გაიმართება. ამის მიზეზი ავსტრიის ხელისუფლების მიერ თამბაქოს რეკლამის აკრძალვა გახდა. ქვეყნის ხელისუფლებამ, მრავალრიცხოვანი თხოვნების მიუხედავად, ფორმულა 1-სთვის გამონაკლისი არ დაუშვა. არადა გუნდების შემოსავლის ძირითად წყაროს სწორედ თამბაქოს მწარმოებლებთან გაფორმებული კონტრაქტები წარმოადგენს, ამიტომაც თამბაქოს რეკლამის გარეშე ასპარეზობა მათ არ სურთ.

კრივი. გამოცემა "World of Boxing"-თან ინტერვიუში პირველი საშუალო წონის აბსოლუტური ჩემპიონი რუს-ავსტრალიელი კონსტანტინ ცზიუ აცხადებს, რომ მეორე საშუალო წონაში გადაბარგება სურს. ამასთან, დიდი სურვილი აქვს, მომდევნო ორთაბრძოლა IBF-ის (ფედერაციის) ახლად გამომცხვარ ჩემპიონთან, ამერიკელ კორი სპინკსთან გამართოს. თუმცა, სპინკსი კოსტიას ენთუზიაზმს არ იზიარებს და მასთან შეჭიდებაზე უარს აცხადებს.

ისე კი, თუ მათი ორთაბრძოლა, მართლაც, არ შედგა, კონსტანტინ ცზიუს საადარიგო ვარიანტიც აქვს შემუშავებული. კერძოდ, რიკარდო მაიორგასა და ვერნონ ფორესტის წყვილს შორის გამარჯვებულთან ჩხუბი.

TV-სპორტი

კვირა. 18 მაისი

НТВ + ФУТБОЛ
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:25 გერმანიის ჩემპიონატი
15:05 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი
16:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ფეიენოორდი – ეინდჰოვენი. პირდაპირი რეპორტაჟი
17:55 იტალიის ჩემპიონატი. პირდაპირი რეპორტაჟი
19:50 თავისუფალი დარტყმა
20:10 რუსეთის ჩემპიონატი. ალანია – ცსკა
21:55 "FUTBOL MUNDIAL"
22:25 რუსეთის ჩემპიონატის მიმოხილვა
23:25 იტალიის ჩემპიონატი
1:10 თავისუფალი დარტყმა
1:25 ესპანეთის ჩემპიონატი.

НТВ + СПОРТ
11:00, 15:45, 19:45, 22:00 პრეს-ცენტრი
11:15, 22:15 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 ბადმინტონი. მსოფლიო ჩემპიონატი. ნახევარფინალი
13:15 ავტოსპორტი
16:00 ჩოგბურთი. ATP. ჰამბურგი. ფინალი. პირდაპირი რეპორტაჟი
18:45 "სპორტული გლობუსი"
19:15 საჭადრაკო მიმოხილვა
20:00 "დიდი რინგი"
22:25 ბადმინტონი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი
1:25 ახალი ამბები
1:40 ტაილანდური კრივი

EUROSPORT
7:30 ფეხბურთი. U-17 ევროპის ჩემპიონატი. ფინალი.
14:00 ფორმულა 3000
15:00 სუპერბაიკი
17:15 ფეხბურთი. U-17 ევროპის ჩემპიონატი. ფინალი.
18:30 ველოსპორტი. ჯირო დ`იტალია. მე-8 ეტაპი. პირდაპირი რეპორტაჟი
20:30 ჩოგბურთი WTA. ფინალი. რეპორტაჟი რომიდან
22:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი
23:00 თავისუფალი ბრძოლები
0:00 საბრძოლო ორთაბრძოლები
2:15 ძიუდო. ევროპის ჩემპიონატი

ტენდერში მონაწილეობის მისალებად:

Mercy Corps და Care აცხადებენ ტენდერს წინადადებებზე (Bids) გამოცდილი და კვალიფიციური ორგანიზაციებისა და პიროვნებებისაგან ფილმის შესაქმნელად, "საქართველოს სათემო მობილიზაციის ინიციატივის" (სსმი) ხელშეწყობისათვის.

მიმართვის პირობები და ფილმის სცენარი (რომელიც შემოთავაზებული წინადადების საფუძველს წარმოადგენს) მოცემულია წინადადებათა პაკეტში,რომელიც შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართებზე:

ხელმოწერილი ინფორმაცია წინადადების პაკეტის შესახებ მიღებული მომწოდებლებისაგან რეგისტრირებული და შენახული იქნება მიმღები ორგანიზაციის მიერ.

მომწოდებლებისათვის მოეწყობა კონფერენცია ოთხშაბათს, 21 მაისს,2სთ-ზე,Mercy Corps-ის თბილისის ოფისში (გოგებაშვილის 9).

წინადადებების ჩაბარების ბოლო ვადაა 2003 წლის 2 ივნისი, ორშაბათი, ადგილობრივი დროით 13:00 სთ. რომელიმე ზემოაღნიშნულ მისამართზე დაგვიანებული წინადადებები არ განიხილება.

(სსმი) არის აშშ. განვითარების საერთაშორისო სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული ფარითომასშტაბიანი პროგრამა საქართველოში.

Mercy Corps, გოგებაშვილის 9,თბილისი 380008 25-24-71/72/73
Care,გოგებაშვილის 27,ქუთაისი 384000 (231)-4-20-09

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში

20-24-24
20-00-24

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

სწავლა ლონდონში
ხელმისაწვდომ ფასად

ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლა (ლონდონი) გაწვევთ ხარისხის მოსაპოვებლად შემდეგი პროგრამების ფარგლებში. ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის (ლონდონი) კამპუსი მდებარეობს ლონდონ ბროჯთან. ეს ის ადგილია, სადაც ლონდონის ლირსშესანიშნაობებია თავმოყრილი. პროგრამები ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება სანდერლენდის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად; ხოლო პროგრამები მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება ისტ ლონდონის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად. პროგრამები ცხადდება წელიწადში სამჯერ (ნოემბერი / აპრილი / აგვისტო). მორიგი კურსის დაწყების თარიღი 2003 წლის 7 აგვისტო.

MBA — მარკეტინგი / ფინანსები / IT
ელექტრონული კომერცია / HRM
პროექტის მენეჯმენტი

MSc — საინფორმაციო ტექნოლოგიები
კომპიუტერული სისტემის ინჟინერია
ინტერნეტის ინჟინერია

სრული კურსის ფასი $5950
სანგრძლივობა 1წ.

ბიზნესის ან ბიზნეს ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამების ფარგლებში ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად 2-წლიანი დაჩქარებული კურსის - BA (Hons) მოლიანი ღირებულებაა 10 950$ (£ 6950 ეკვივალენტი).
3-წლიანი კურსის ინჟინერიის ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად B. Eng (Hons) მოლიანი ღირებულებაა £ 10 950

ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად

იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ზემოაღნიშნული პროგრამებით სწავლობენ, ერთწლიანი ინტენსიური ინგლისური ენის კურსის გავლა შესაძლებელია დამატებითი 1600$-ის (£ 1000) გადახდის შემდეგ.
იმ სტუდენტებისთვისაც, რომლთაც მაღალი აკადემიური მოსწრება არა აქვთ, ხელმისაწვდომია მოსამზადებელი პროგრამები.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით: ნიფარ მუსაბეკოვს, ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის მიმღებ განყოფილებაში
მისამართი: 12 Bul Bul Ave., Student Travel International (STI),
Tel/Fax: +994 12-989906, 98 99 08, +994 50 - 201 01 69
E-mail: stmgeorgia@hotmail.com; nm@sti.az
ან აგვილობრივ წარმომადგენელს: ნინა მესხიშვილს
ტელ.: 34 61 62, 8-93 35 20 67

საჯარო ფორუმი

!
შეიძინეთ!
გაერთეთ!
მოიგეთ!

ფირმა "ფენიქსი"
გისურვებთ წარმატებას.

ყოველ შაბათს, რუსთავი 2-ის პირდაპირ ეთერში გაიმართება ტოტალიზატორ "საოჯახო ტოტის" გათამაშება.

დაწვრილებითი ინფორმაცია და კოეფიციენტების ცხრილი იხილეთ გაზეთ "24 საათში"

ბრიჯი

გურამ ბერიშვილი

N7

შარშანდელ ბრიჯის ოლიმპიადაზე კანადისა და შეერთებული შტატების გუნდებს შორის გათამაშდა ხელი.

♠ 10 7 5 3 2
♡ V 5 4 3
◇ 10 4 2
♣ 8

♠ 9 8
♡ A K D 9 7
◇ A K D 6 5
♣ D

N / W E / S

♠ A D V
♡ 8 6
◇ 9 3
♣ A K V 10 4 2

♠ K 6 4
♡ 10 2
◇ V 8 7
♣ 9 7 6 5 3

პირველ ოთახში აუქციონის შედეგად დაინიშნა დიდი შლემი თულფით ჯვარი, გამთამაშებელი იყო ფრომანი (W) შტატების გუნდიდან.

თითქოს ექვსი თულფი, ერთი ყვავი და ექვსი მაღალი კარტი წითელ ფერებში იძლევა 13 აღების გარანტიას. ამისათვის საჭიროა მხოლოდ წინასწარ თულფების ლიკვიდაცია. სწორედ ამისათვის, ჯვრის D-ს აღების შემდეგ, საჭიროა გადასვლა მაგიდაზე (E-სთან).

კანადელმა გარტაგანისმა პირველი სვლა გააკეთა ყვავის სამიანით. ამ სვლით გამთამაშებელმა დაკარგა ერთადერთი უსაფრთხო გადასვლა მაგიდაზე. პირველი სვლა აიღო E-მ A-თი და გამოვიდა მცირე თულფს (♣2). აიღო ორი აგური და გავიდა მცირე აგურით, რომელიც E-დან მოკლა მაღალი თულფით (♣A). ეს მან გააკეთა უსაფრთხოებისათვის. რა იცოდა, რომ S-ს აგური აქვს. ამის შემდეგ კონტრაქტის გადარჩენა შეუძლებელი გახდა. მან ერთი აღება დაკარგა. ეს შტატების გუნდს 100 ქულად დაუჯდა.

მეორე ოთახში ძლიერი კარტი კანადელების ხელთ იყო. მათაც დიდი შლემი დანიშნეს, ოღონდ უთულფო. გამთამაშებელი აქაც W. გამთამაშებელმა გიტელმანმა პირველ სვლად N-დან აქაც ყვავი მიიღო.

გადასვლების მიმართ აქ კიდევ უფრო რთული ვითარებაა, გადასვლისათვის თულფიც არ არსებობს. ჯვარი თუ განაწილებულია, მაშინ პრობლემა არ არის გამთამაშებელი იღებს 6 ჯვარს, 3 აგურს, 3 გულს და 1 ყვავს, სულ 13. მაგრამ, როგორც ხედავთ ამის რისკი არ შეიძლება. ერთი მაინც მაგიდაზე გადასვლა რომ არსებობდეს (N-ს რომ ყვავით არ დაეწყო) ხელი მარტივად გათამაშდებოდა. გამთამაშებელმა ყვავის ტუზის აღების შემდეგ აიღო სამი გული. დაინახა რა, რომ გულის გაგრძელება აღარ შეიძლება გადავიდა აგურზე, აგურების აღების შემდეგ ჯვრის D აიღო ტუზით და დაამთავრა კონტრაქტიც. აგურიც, რომ ცუდად ყოფილიყო განაწილებული მიატოვებდა აგურს და მაინც ისევე დაამთავრებდა, იმედით რომ ჯვარი მაინც იყო განაწილებული.

ეს შეხვედრა კანადის გუნდმა მოიგო 34 - 5, მარტო ამ ხელმა კანადას 20 ქულა მოუტანა.

უკვე დროა ვისაუბროთ აუქციონის შესახებ. თავდაპირველად მოგაწვდით ვაჭრობის ნატურალურ (ბუნებრივ) სისტემას. ამ სისტემაშიც არის ხელოვნური განცხადებები, მაგრამ მინიმალური რაოდენობის. რასაც აღვწერ იქნება ზედმეტად სქემატური. დამწყებმა ბრიჯისტმა უნდა ეცადოს ზუსტად შეასრულოს მოთხოვნები. მხოლოდ შემდგომში შეიძლება გამოიყენოს მოდიფიკაციები.

გაგახსენებთ თქვენ ხელში არსებული 13 კარტის სიძლიერის შეფასებას. A - 4 ქულა, K -3, D -2, V - 1. თუ ფერში სამზე ნაკლები კარტია, ემატება იმდენი ქულა რამდენიც აკლია.

წარმოიდგინეთ, რომ დარიგდა კარტი და თქვენ იწყებთ ვაჭრობას. დაითვლით ქულებს და აცხადებთ შემდეგი ცხრილის მიხედვით

ქულები	განცხადება
0 - 6	პას
7 - 12	3 ფერში (3♣, 3◇, 3♡, 3♠) ან პას
13 - 15	1 ფერში (1♣, 1◇, 1♡, 1♠)
16 - 19	1 უთულფო ან ფერში (1♣, 1◇, 1♡, 1♠)
20 - 23	2 უთულფო ან ფერში (1♣, 2◇, 2♡, 2♠)
24 და მეტი	2♣

პირველ სტრიქონს ახსნა არ სჭირდება, პასი სისუსტის მანიშნებელია. მეორე სტრიქონმა შესაძლოა გაგაკვირვოთ. როდესაც სუსტი ხარ, ალბათ მოწინააღმდეგეა ძლიერი. თუ გაქვს რაიმე შესაძლებლობა მოწინააღმდეგის დიალოგს ხელი შეუშალო, უნდა გამოიყენო იგი. ეს შესაძლებლობაა ძალიან გრძელი ფერი, არა ნაკლებ 7 კარტისა. ამ განცხადებით აუქციონის დონე მაღლა იწევა და მოწინააღმდეგეს შეთანხმებისათვის სივრცე აღარ რჩება. თუ თქვენი პარტნიორი აღმოჩდა ძლიერი, ეს განცხადება სასარგებლო იქნება, რადგან იგი საკმაო სიზუსტით აღწერს თქვენ შესაძლებლობებს. თუ თქვენი პარტნიორიც სუსტია, მოწინააღმდეგე ალბათ იტყვის "კონტრ" და გათამაშებისას თქვენ დაგაკლდებათ აღებები და მოწინააღმდეგე ჩაიწერს ორ ან სამ ასეულ ქულას, მაგრამ ეს მაინც ნაკლებია ვიდრე მას რომ ეთამაშა მაღალი კონტრაქტი. ეს არის ამ განცხადების არსი. ამ ილეთს ჯებირს (barrage) უწოდებენ.

13 ქულიდან იწყება პოზიტიური ვაჭრობა. თუ შესაძლებლობა იძლევა უპირატესობა ენიჭება უთულფო განაცხადს (პირველ რიგში ამაზე უნდა იზრუნოთ). იგი კეთდება თუ კარტი რაოდენობრივად თანაბრადაა განაწილებული (4-4-4-3) და ქულებიც ფერებში დაახლოებით თანაბარია. თუ ეს ასე არ არის კეთდება თულფიანი განაცხადი.

რომელ ფერს ვირჩევთ?

ყველაზე გრძელს და არა ქულებით ძლიერს. მაღალი კარტი ისედაც აიღებს, თულფი კი რაც უფრო მეტია, მით უკეთესია.

თუ კი ორი ფერია ტოლი სიგრძის?

უპირატესობას აძლევენ ყვავს და გულს ჯვრისა და აგურის წინაშე (ყვავი და გული მეტ ქულებს იძლევა ვიდრე ჯვარი და აგური). ამის გამო გულსა და ყვავს მაჟორულ ფერებს უწოდებენ, ხოლო ჯვარსა და აგურს მინორულ ფერებს.

თუ ორივე მაჟორულია ან მინორული, მაშინ უფრო მაღალს თუ ქულების დიაპაზონის მინიმუმში ხართ და უფრო დაბალს თუ ქულების დიაპაზონის მაქსიმუმში ხართ. ამის ახსნა შემდეგია. ვთქვათ გაქვთ 14 ქულა და ოთხ-ოთხი გულში და ყვავში. აცხადებთ "1♠"-ს. ვაჭრობის შემდგომ ეტაპზე შესაძლოა გამოაცხადებთ გულს და თქვენ პარტნიორს მაღლა ასვლა არ დასჭირდება თუ იგი ჩათვლის, რომ მაინც ყვავი აჯობებს. პირიქით რომ გექნათ ყვავიდან გულზე დაბრუნება საფეხურზე ასვლას მოითხოვდა.

როდესაც სამ ფერში გაქვთ ოთხ-ოთხი აცხადებთ სამ კარტიანი ფერის ქვემოთა ფერს, რათა მისცეთ თქვენ პარტნიორს შესაძლებლობა თქვას ეს თქვენთან ნაკლული ფერი, თუ მას ის აქვს. ამ შემთხვევაში თქვენი შემდგომი განაცხადი შესაძლოა უთულფო იყოს, რადგან თქვენ და თქვენ პარტნიორს ყველა ფერში რაღაც გექნებათ.

ბოლო განაცხადი ხელოვნურია, ის ამბობს მხოლოდ, რომ გაქვთ არანორმალურად ძლიერი კარტი, 24 ქულაზე მეტი. ჯვრის შესახებ იგი არაფერს არ ამბობს. თქვენ პარტნიორს არა აქვს უფლება თქვას "პას". რა უნდა თქვას მან? ამაზე შემდგომ.

N8

თბილისში 9 - 11 მაისს ჩატარდა საქართველოს პირველობა წყვილთა შორის. მოწვეული იყო წყვილი სომხეთიდანაც. ტურნირი სამ სესიად ჩატარდა. თითო სესიაში 26 დარიგება იყო. სამივე სესიის შედეგად პირველი ადგილი დაიკავა და საქართველოს ჩემპიონი გახდა წყვილი რ.ბურდიაშვილი - გ. უჩავა, მეორეზე გავიდნენ სტურმრები ა.სიმონიანი - ე.ვართანიანი, მესამეზე ნ.მახათაძე - ლ.ჯამბურია.

მეორე დღეს ერთ-ერთი დარიგებაში N-S-ს ერგოთ კარტი.

ამ დარიგებაში N-S-ს უორმაგდებათ მოგებაც და წაგებაც, მათ მოწინააღმდეგეს კი არა. როგორც უკვე აღვწერეთ ეს პირობა ტურნირებში დარიგების ბლანკზე წერია. ეს დარიგება ითამაშა ყველა წყვილმა. ნატურალური სისტემით ვაჭრობისას ეს შეიძლება შემდეგნაირად წარმართულიყო.

♠ 7
♡ K 8 6 5 4 3 2
◇ A 10
♣ A K 8

N / W E / S

♠ A K 10 9 8 5 2
♡ D 7
◇ K 8 4
♣ V

E	S	W	N
პას	1♠	2♣	3♡
პას	4 უთულფო	პას	5♡
პას	6♡	პას	პას
პას			

ასეა თუ ისე ზოგმა წყვილმა დანიშნა მცირე შლემი, ერთმა ყვავის თულფითაც, ზოგმა კი მხოლოდ გეიმი (4♡). მხოლოდ ორმა წყვილმა ვერ მოახერხა 12-ის აღება, რამაც მათ მოწინააღმდეგებს ამ დარიგებაში უმაღლესი ადგილი მიანიჭა.

შეეცადეთ შეიმუშავოთ გეგმა თუ როგორ უნდა შესრულდეს 6♡.

წყვილები	შეკვეთა	გამთ.	შეტევა	შედეგი	N-S	E-W	ქულები
14 - 1	4♡	N	♣5	+2	680	-	8 - 4
9 - 5	6♡	N	♣5	=	1430	-	11 - 1
13 - 10	4♡	N	♣5	+1	650	-	5 - 7
7 - 8	6♠	S	♡A	-1	-	100	1 - 11
4 - 2	4♡	N	♣5	+1	650	-	5 - 7
12 - 6	6♡	N	♣5	=	1430	-	11 - 1
11 - 3	6♡	N	♣5	-1	-	100	1 - 11

დარიგების ბლანკი დადის დარიგებასთან ერთად მაგიდიდან მაგიდაზე, რომელშიც გათამაშების შემდეგ შეაქვთ ჩანაწერები. საბოლოოდ მსაჯი ავსებს ბოლო სვეტს ადგილების მიხედვით. ამ დარიგებაში პირველ-მეორე ადგილზე N-S-თა შორის მე-9-ე და მე-12-ე წყვილი გავიდა, მესამეზე მე-14-ე, მეოთხე-მეხუთეზე მე-13-ე და მე-4-ე, მეექვსე-მეშვიდეზე მე-7-ე და მე-11-ე. მათი მოწინააღმდეგენი სათანადო ადგილებს იკავებენ და ქულებიც საპირისპირო აქვთ უკვე E-W-თა შორის.

კროსვორდი